სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ნათია მეყანწიშვილი

გენდერული პრობლემატიკა საქართველოში: ქალთა სტატუსი და ოჯახური ცხოვრების პრინციპები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

სოცილაურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე

საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: სოფო ჩქოფოია

სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

გორი

2019

ანოტაცია

ჩვენს მიერ საკვლევი სამაგისტრო ნაშრომი „**გენდერული პრობლემატიკა საქართველოში: ქალთა სტატუსი და ოჯახური ცხოვრების პრინციპები**“ შეეხება გენდერული უთანასწორობის პრობლემებს, ქალთა ოჯახურ ცხოვრებას, კარიერულ წინსვლას, თვითშეფასების დონესა და მათს სტატუსს საქართველოში.

დღევანდელ ყოველდღიურ ცხოვრებაში ამგვარი პრობლემატიკის სიმრავლე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს, აქედან გამომდინარე ეს საკითხი აქტუალურია. **ნაშრომის ძირითადი მიზანი** გახლავთ, ზოგადად არსებული მდგომარეობის შესწავლა, სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს აღნიშნული საკითხების განხილვა და რა მდგომარეობაა პრობლემების გამოწორების მხრივ გენდერული უთანასწორობის სტატისტიკური შესწავლისა და მისი აღმოფხვრისათვის შემუშავებული გეგმებიდანდა მექანიზმებიდან გამომდინარე.

ჩვენს მიერ არჩეული საკვლევი თემა, **აქტუალურია**და ჩატარებული **კვლევის ამოცანაა** იმის ჩვენება, რომ აღნიშნული საკითხი, მთელი საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანია, რადგან გენდერულად უთანასწორო ცხოვრების ზემოქმედების მსხვერპლად შესაძლებელია ნებისმიერი საზოგადოების წევრის - მამაკაცისა და ქალის არსებობა.

კვლევის საგანია, ის საერთაშორისო საკონონმდებლო ნორმები და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პრობლემებზე შემუშავებული გეგმები, რომლებიც არეგულირებს იმ ადამიანთა უფლებებს, რომელთაც უშუალოდ ეხებათ მოცემული საკითხი.

კვლევის ობიექტია საქართველოში არსებული გენდერული პრობლემატიკის სტატისტიკა, საჩივრების რაოდენობა და გარკვეულ ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაციები. კვლევის **ძირითად შედეგად** ვამტკიცებთ, რომ დღეისათვის აღნიშნული საკითხი კვლავ პრობლემატურია. ქალთა სტატუსის განსაზღვრასა და მათი ოჯახური ცხოვრების პრინციპების გენდერულ პრობლემებთან დაკავშრებით ერთიანი აზრი არ არსებობს და ხდება მისი ინდივიდუალურად განიხილვა. **კვლევის მეცნიერული სიახლე** გახლავთ აღნიშვნა იმისა, რომ საქართველოს მასშტაბით აღნიშნული თემა ისევ და ისევ აქტუალურ პრობლემად რჩება, რთულია გენდერული უთანასწორობისათვის ბრძოლა, მასზე გაყოფილ აზრთა განხილვა კი კვლავ უწყვეტად მიმდინარეობს, რომელის პროცესშიც კვლავ ახალახალი პრობლემა იჩენს თავს.

კვლევის პროცესში **გამოვიყენეთ** მეთოდები: სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, სინთეზი , დაკვირვება, ჰიპოთეზა და ანალოგია.

Annotation

,, the gender problem in Georgia: the women's status and theprinciples of familial living"

Natia Mekantsishvili

The graduate research by us**,,the gender problem in Georgia: the women's status and theprinciples of familial living"** regards the problems of gender inequality, women's familial living , the move forward career , the standard of self assessment and their status in Georgia.

Nowadays, in everyday life, the majorities of these problematic things present important problem, therefore this issue is actual. The main goal of this work is in general to study the existing state based on the statistical data, how effective are being talk about these issues and what condition is to correct problems about statistical gender inequality and depending on this eliminate the developed plans and mechanisms.

The research theme chosen by us is relevant and the goal of our conducted study is to show, that this issue is important all our society, because the existence of inequality victim would be anyone in our society-man or woman.

The subject of research is those international legislative standards and the plans developed by the noted problems, which regulate the rights those people who concern the present issue.

The object of the study is the present gender statistic problem, the number of complaints and the information placed on some websites. The main result of the study we prove, that today the noted issue is still problematic .It is not common opinion connected about the women's status and their principles of familial living of gender problems and occurs its individual discussion. The scientific innovation is that indicated theme stay still actual problem throughout Georgia, it is difficult to fight in this gender inequality, the divided aim is still continue, in which process appears again some new problem.

During the research we used following methods: the analyze of statistical data, the synthesize, the observation, the hypothesis and the analogy.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი 5

თავი I. გენდერული ნორმები და ქართული სინამდვილე 10

1.1. საჯარო სექტორში დასაქმებულთა გენდერული ბალანსი 10

1.2. გენდერული თეორიები 13

1.3. გენდერი განათლებაში: არსებული მონაცემები 17

1.4. გენდერული ძალადობა - ქალი და ოჯახი 21

1.5. სოციალური აქტივობები და პირადიცხოვრება 27

1.6. ქალი და პოლიტიკა 29

თავი I I. გენდერული თანასწორობის პოლიტიკა 34

2.1. საკანონმდებლო ინიციატივები, ცვლილებები და მნიშვნელოვანი დოკუმენტები 34

2.2. გენდერული პერსპექტივების ჩართვა საჩივრების მექანიზმებში 37

2.3. გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის, შევიწროვების, დაშინებისა და ძალადობის პრევენცია, განათლება და ტრენინგი 42

2.4. გენდერული ნიშნით დანაშაულებრივი ქცევის შესახებ შეტყობინების წახალისება და საჩივრების წარდგენის მექანიზმები 45

დასკვნა 49

გამოყენებული ლიტერატურა 52

შესავალი

<u>კვლევის აქტუალობა</u>:გენდერი გულისხმობს განმარტებებს, რაც მოიცავს კაცისა და ქალის სოციალური როლების გააზრებას, მათ მდგომარეობებსა და ფასეულობებს, ურთიერთობებს - გოგონებსა და ბიჭებს შორის, კაცებსა და ქალებს შორის და ა.შ.მისი არსი და მნიშვნელობის სტრუქტურა ასევე მიმართულია თანასწორობის ზღვრების დაცვისაკენ, ვინაიდან თითოული ადამიანის კუთვნილი ღირებულებები და მისივე თავისუფალი ნება არ იქნას შელახული.

საზოგადოება თავად ქმნის სტერეოტიპულ განმარტებებს და მოსაზრებებს, სადაც ძირითადად ქალთა სქესი წარმოდგენილია სუსტ არსებად, ხოლო მამაკაცები კიფიზიკურად აგრესიულად და ძლიერად. გამომდინარე იქიდან, რომ გენდერული უთანასწორობა კვლავ აქტუალურად პრობლემურ საკითხთა შორისაა, მის ირგვლის კვლავ ფართო დისკუსიები მიმდინარეობს, როგორც მსოფლიო ქვეყნები, ასევე საქართველოც აქტიურადაა ჩართული გენდერული პერსპექტივების გეგმების შემუშავების პროცესში, თუმცა რთულია მის წინააღმდეგ ბრძოლა, ვინაიდან ჯერ კიდევ ბევრ ადამიანს თავად სიტყვა „გენდერის“ მნიშვნელობა არ ესმის, ან ფიქრობს, რომ მხოლოდ მანდილოსნებს ეხებათ მასში მოქცეული ვითარებები. მიუხედავად იმისა, რომ გენდერული თანასწორობა არაა ახალი მცნება, იგი ხშირ შემთხვევაში მაინც დაბნეულობას იწვევს, ძირითადად კი მისი შესაძლებლობები და მოთხოვნები, რომელთა განხორციელებასაც თანასწორობის პოლიტიკა ემსახურება და ქალების სასარგებლოდ მოითხოვს ცვლილებების მიღებას.

ძირითადად გენდერის ცნების გაგება, მასთან დაკავშირებული საჩივრების აღმოჩენას უდევს საფუძვლად, ეს საჩივრები კი შემდეგი შინაარსითაა დატვირთული: საჩივრები მოიცავს სექსუალური ნიშნითა და ჰომოფობიის საფუძველზე დისკრიმინაციის, შევიწროვების, დაშინებისა და ძალადობის ფაქტებს. ყოველივე კი ყურადღებას იპყრობს ისეთ ღრმა საკითხებზე, როგორიცაა ეთოსი და კულტურა. მაგალითად თუ ვიმსჯელებთ ისტორიულ მხარეებზე, ვიცით, რომ შეიარაღებული ძალები განსაკუთრებით აფასებდნენ აგრესიულობის თვისებას, რომელიც უფრო

კაცებთანაა ასოცირებული, ვირე ქალებთან. უმეტეს შემთხვევაში, ვხედავთ, რომ რთულია უმაღლესი წოდების მიღება, თუ ადამიანს საბრძოლო ქვედანაყოფში არ უმსახურია, აქედან გამომდინარე, იმ კაცებსა და ქალებს, რომელსაც აღნიშნულ ქვედანაყოფშ არ უმსახურიათ არ აქვთ დაწინაურების უფლება.

ყურადსაღებია, რომ საქართველოშიც გენდერული უთანასწორობა საშიშ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და მორალურ პრობლემადაა ჩამოყალიბებული და ის უფრო და უფრო ემუქრება ჩვენს ქვეყნასა და მოქალაქეებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია გენდერული უთანასწორობის არსის, მისი გამომწვევი მიზეზების და შედეგების მეცნიერული და სიღრმისეული შესწავლა.

გენდრული თანასწორობის იდეოლოგიამ განიცადა ევოლუცია, ისევე როგორც მისმა პრაქტიკამ, ქალთა და მამაკაცთა უთანასწორობის ისტორიამ ცხადყო, რომ მისი არსებობა შეიძლება დავყოთ რამოდენიმე პერიოდად, ადრეული პერიოდის გენდერული პრობლემები და დღევანდელი რეალობა, თუმცა აღსანიშნავია, რომ დიდად არ შეცვლილა მდგომარეობა და გენდერი კვლავ პრობლემურ საკითხად რჩება.

თემის აქტუალობა განაპირობა იმანაც, რომ გენდერული უთანასწრობის პროცესები უდიდეს გავლენას ახდენენ ჩვენი ქვეყნის ქალთა სქესის ადგილის დამკვიდრებასა და თვითგანვითარების მცდელობისას, ასევე მამაკაცებიც განიცდიან ამ ნიშნით ჩაგვრას, თუმცა სტატისტიკის მიხედვით ქალთა რიცხვი, ბევრად აღემატება მამაკაცთა რიცხვს.

<u>კვლევის საგანი, მიზნები და ამოცანები:</u>კვლევის მიზანია სხვადასხვა ლიტერატურაზე, ინტერნეტ რესურსებსა და ასევე არაერთ სხვა საინფორმაციო წყაროებზე დაყრდნობით შესწავლილ იქნას გენდერული უთანასწორობის წარმოშობის და განვითარების საფუძვლები. ასევე მნიშვნელოვანია გენდერული ჩაგვრისა და შევიწროვების საფრთხეებია და გამოვლენის ფორმების შესწავლა. გასაანალიზეებელია აღნიშნულ საკითხის პრობლემებთან ბრძოლის ზოგადთეორიული საფუძვლები, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი რეგულირების მექანიზმები. განსაკუთრებით, ხაზი ესმება ქალთა მიმართ ძალადობას, რომელიც მკვეთრად ვლინდება დღევანდელ ყოფაში.

ნაშრომში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის, შევიწროვებისა და ძალადობის ჩამოყალიბების მიზეზები, დრო, ტაქტიკა, მიზნები და ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულება.

კვლევა მიზნად ისახავს, განხილულ იქნას: გენდერთან დაკავშირებული პრობლემების არსი დაუთანასწორობის გამომწვევი მიზეზები, როგორც კაცობრიობისათვის ადგილის დამკვიდრებისა და თანასწორობის განცდის საფრთხის შემცველი მოვლენის გლობალური მასშტაბები.

მეცნიერული სიახლე: ნაშრომის ძირითადი სიახლეა ის, რომ ჩვენს მიერ, კომპლექსურად არის დამუშავებული პრობლემა, მათ შორის:

- შესწავლილია გენდერული ნიჩნით დისკრიმინაციის - სამართლებრივი და პოლიტიკური ასპექტები;
- განსაზღვრულია გენდერული უთანასწორობის ძირითადი ფორმები;
- მოცემულია ორგანიზაციების სქემა, გეგმები და პრევენციის გზების ძიების პრაქტიკა;
- გამოკვლევაში გენდერი განხილულია, როგორც კაცობრიობის გლობალური პრობლემა, წარმოჩენილია საქართველოს დემოკრატიული საზოგადოების ორგანიზაციების ბრძოლა არნიშნული პრობლემების წინააღმდეგ.

მოცემულია სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე მიღებული დასკვნები, საკანონმდებლო რეგულაციები, საჩივრები და სხვა პრევენციის მიმართულებით რეკომენდაციები.

კვლევის ობიექტი და საგანი: კვლევის ობიექტია: გენდერული პრობლემატიკა საქართველოში: ქალთა სტატუსი და ოჯახური ცხოვრების პრინციპები, კვლევის საგნად გვევლინება იურიდიულ, ფსიქოლოგიურ, სოციოლოგიურ და ფილოსოფიურ ლიტერატურაში წამოყენებული მოსაზრებები გენდერული უთანასწორობის მიზეზების, სოციალური ბუნების, გამოვლენის სახეების და ფორმების, ბრძოლის საშუალებების შესახებ. საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი, მათ შორის, საქართველოში არსებული ნორმატიული საშუალებები გენდერული უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

კვლევისას გამოყენებულია ჩვენს რეალობაში მომხდარი ფაქტები და მათი ანალიზი, აღნიშნულ საკითხებთან მომუშავე ადამიანთა შეხედულებები, ფსიქოლოგიური ასპექტები.

<u>კვლევის მეთოდები:</u>თვისობრივი კვლევის პროცესში ვეყრდნობით კვლევის შედეგად მოპოვებულ მონაცემებს, რომლებიც მოიცავს დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგებს და ძირითად მიგნებებს, თუ რა გავლენას ახდენს გენდერული თანასწორობისათვის ბრძოლა,მისი ნიშნით ჩაგვრის ქვეშ მოქცეულ ადამიანთა ცხოვრებაზე, განსაკუთრებით ქალთა ფენაზე და რა მეთოდებია შემუშავებული არსებული პრობლემის აღმოსაფხვრელად. ასევე კვლევის მეთოდოლოგიაში გამოყენებულია სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობის შედეგად ღია, საჯარო ადამიანთა პრობლემებზე, ვინც ან თავად გახდა გენდერული უთანასწორობის მსხვერპლი, შესწრებიან აღნიშნული ნიშნით ჩაგვრას, ან მსხვერპლთა შესახებ არიან ინფორმირებულნი.

***<u>თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა</u>*:** ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები, რეკომენდაციები და წინადადებები საინტერესო იქნება ამ საკითხით დაინტერესებული თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი მუშაკებისათვის.

ნაშრომი არის მცდელობა შესწავლილი იქნას გენდერული ნიშნით ჩაგვრის, ძალადობის, დისკრიმინაციისა და შევიწროვების პრობლემები და აღნიშნული პრობლემის მოვლენათა განვითარების გამომწვევი მიზეზები.

***<u>მატერიალურ-ტექნიკური ბაზა</u>*:**სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგნილი კვლევა, ძირითადი დაშვებები და შეფასებები ოფიციალური წყაროების გარდა ემყარება სამეცნიერო კვლევებს, სტატიებს, რომელშიც განხილულია გენდერული ნიშნით ჩაგვრის, დისკრიმინაციის, შევიწროვებისა და ძალადობის პრევენციის გზები და მექნიზმები, სახელმწიფოს გავლენა გენდერლი უთანასწორობის აღმოფხვრის გზაზე, კანონით გათვალისწინებული რეგულაციები და საჯარო რეფორმის გზამკვლევის რეკომენდაციები.

ჩატარებულ იქნა შემდეგი სახის კვლევა: მოძიებულ იქნა სტატისტიკური მონაცემები ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე, ასევე განხულულ იქნასაქართველოში გენდერული ძალადობის მსხვერპლთა პრობლემები და ამ

პრობლემების მოგვარებისა და აღმოფხვრის გზები, რომელიც ემსახურება აღნიშნული უთანასწორობისათვის ბრძოლას.

ჩატარებულ კვლევაში შეფასებულია სახელმწიფოს მიდგომა გენდერული პრობლემატიკის მიმართულებით და გამოვლენილია როგორც უარყოფითი შეფასებები, ასევე რეკომენდაციები თუ რა გზებითა და ჩარევებით არის შესაძლებელი აღნიშნულ პრობემათა მოგვარება და დასტაბილურება.

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია საქართველოში არსებული გენდერული მონაცემები ქალთა სტატუსისა და ოჯახური ცხოვრების პრინციპების შესახებ დააღნიშნული პრობლემის წინააღმდეგ საქართველოში ამოქმედებული კვლევები და კანონები.

კვლევა დაეყრდნო საქართველოს ოფიციალური ვებ-გვერდების სტატიებს და სტატისტიკურ მონაცემებს. მასალა გამოყენებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და მასში გათვალისწინებულია ქვეყანაში არსებული ახალი რეგულაციები.

თავი I. გენდერული ნორმები და ქართული სინამდვილე

1.1. საჯარო სექტორში დასაქმებულთა გენდერული ბალანსი

თანამედროვე რეალობაში თითოულ საზოგადოებას გააჩნია ტრადიციები, ჩვეულებები და ნორმები, რომელიც განსაზღვრავს სოციალურ და სქესობრივ როლებს,თუმცა არსებობს გენდერული სტერეოტიპები, რომელიცდამკვიდრებულია საზოგადოებაში ქალისა და კაცის შესაფერისი ქცევის მიხედვით, სწორედ ეს ქცევები ყოფს ქალსა და მამაკაცს სხვა და სხვა ვითარების შესაფერისად და მიუთითებს მათი ქმედებების სისწორეს ან მცდარობას.

ადამიანთა ჩამოყალიბების პროცესს, სოციალურ ტერმინთა განმარტებების მიხედვით წარმოადგენს ადამიანთა პიროვნების სოციალიზაცია, რომელიც მოიცავს ცოდნის, ღირებულებებისა და ნორმების ერთობლიობის პროცესს, რაც მდგომარეობს კანონების, ქცევებისა და ღირებულებების ათვისების პროცესში, თუ რამდენად ითავისებს პიროვნება თითოულ მათგანს, როდესაც ამ საკითხთა განხილვას გენდერული თვალსაზრისით ვაწყდებით, ვხვდებით რიგ სტერეოტიპთა თავმოყრას, რომელთა ჩამოყალიბებაც არა შესაძლებლობებიდან გამომდინარე, არამედ პიროვნებების მიხედვით მოხდა, აქედან გამომდინარე გვეძლევა საშუალება თავისუფლად განვიხილოდ გენდერული ზემოქმედების მიხედვით არჩეული პროფესიები, როდესაც ქალისა და მამაკაცის პროფესია განსაზღვრულია არა მათი შესაძლებლობებისა და შესაფერისობის მიხედვით, არამედ გენდერული თვალსაზრისით - სქესობრივი ნიშნის მიხედვით. ნათლად ჩანს რომ მინიჭებული როლები უშუალო კავშირიშია განათლებასთან, სწორედ ამას განმარტავს გენდერული თანასწორობა, რომ იგი მოიცავს, ქალისა და მამაკაცის თანაბარ პირობებს, მოპყრობასა და შესაძლებლობებს, რათა მათ შეძლონ საკუთარი თავის წარმოჩენა სრულფასოვნად, საკუთარი უფლებების მაქსიმალურად გამოყენება და დაცვა. აღსანიშნავია მამაკაცთა მიერ ქალის პიროვნების განსაზღვრა, როდესაც მამაკაცები საკუთარ თავს სისრულის სუბიექტად, მანდილოსნებს კი პირიქით, ნაკლებ შესაძლებლობების მქონედ მიიჩნევენ.

გენდერული პრობლემები და უთანასწორობა გვხვდება სამსახურში, დასაქმებულ პიროვნებათა მიხედვით მსჯელობისას, თუ განვიხილავთ დასაქმებულთა სტატისტიკურ მონაცემებს გენდერულ ჭრილში, დღევანდელი მდგომარეობით თანაბარ ხელმისაწვდომ პირობებში, მიუხედავად იმისა, რომ „გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონის“ მე-6 მუხლის[1] მიხედვით, სახელმწიფო ხელს უწყობს ორივე სქესის წარმომადგენლებს დასაქმების თანაბარი ხელმისაწვდომობა ქონდეთ, საქართველოს 166 საჯარო დაწესებულებების თანამშრომელთა უმრავლესობას წარმოადგენენ მამაკაცები,დასაქმებულთა აღნიშნული რაოდენობის სტატისტიკის მიხედვით 74532 თანამშრომლიდან მამაკაცთა რაოდენობა შეადგენს - 52679, ხოლო ქალთა რაოდენობა - 21853.[2]აღნიშნული კანონისა და იმავე მუხლის მიხედვით დასაქმებისას და შრომითი მოვალეობების შესრულების მიზნით, სქესის ნიშნით პირთა არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება, ან მათთვის უპირატესობის მინიჭება,რასაც ამართლებს სამუშაოს არსი და სპეციფიკა. ამასთან უშუალო კავშირშია საქართველოს საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულთა შორის არსებული გენდერული დისბალანსი, მაგალითად ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლობიდან, რომელებსაც წარმოადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სრული სისტემა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური და საქართველოს დაზვერვის სამსახური, მათ დაქვემდებარებაში დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობიდან, რაც შეადგენ სულ 39637 პირს, მამაკაცთა რიცხვია 34171, ხოლო დასაქმებულ ქალთა რაოდენობა სულ რაღაც 5466-ით შემოიფარგლება.

განთავისუფლებული თანამშრომლების მიხედვით მსჯელობისას, როდესაცსაჯარო სამსახურიდან განთავისუფლებულ თანამშრომელთა წასვლის მიზეზებზე გვაქვს საუბარი, უშუალოდ ვეყრდნობით „საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონით“[3] განსაზღვრული მუხლების მიხედვით სამსახურიდან წასვლის

[1]https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624?publication=8 - საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ; მუხლი 6 - გენდერული თანასწორობა შრომითი ურთიერთობებისას; (ნანახია: 01.04.2019)

[2]natia_gorgadze.pdf- ეკონომიკური საქმიანობა და დასაქმება;

[3]https://matsne.gov.ge/ka/document/view/28312?publication=111 - საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ - მუხლი 94-107; (ნანახია: 01.04.2019)

გამომწვევ ვითარებებს, რომლის ჩამონათვალიც ასე გამოიყურება: მუხლი 94 - მოიცავს განთავისუფლებას სამსახურიდან ვადის გასვლის გამო; მუხლი 95 - ანთავისუფლებს მოხელეებს საკუთარი ინიციატივის საფუძველზე; მუხლი 96 - მოიცავს განთავისუფლებას დაწესებულების ლიკვიდაციის გამო; მუხლი 97 - განთავისუფლებას ახდენს შემცირებასთან დაკავშირებით; მუხლი 98 - ანთავისუფლებს თანამშრომლებს დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო; მუხლი 99 - განთავისუფლება დისციპლინური გადაცდომის გამო; მუხლი 100 - მოიცავს განთავისუფლებას ხანგრძლივი შრომისუუნარობის გამო; მუხლი 101 - მოიცავს განთავისუფლებას ასაკის გამო; მუხლი 102 - ათავისუფლებს მოხელეს სამხედრო ან ალტერნატიულ სამსახურში გაწვევის გამო; მუხლი 103 - მოიცავს განთავისუფლებას გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის გამო; მუხლი 104 - მოიცავს უშვებს სამსახურიდან მოხელეს დადგენილი მოთხოვნების დარღვევის გამო; მუხლი 105 - მოიცავს განთავისუფლებას სხვა დაწესებულებაშ გადასვლის გამო; მუხლი 106 - ათავისუფლებს მოხელეს მოქალაქეობის შეცვლის გამო, ხოლო მუხლი 107 - წარმოადგენს მოხელის განთავისუფლებას გარდაცვალების გამო.

ზემოთ მოყვანილი მიზეზებიდან ინტერესის მიხედვით, განვიხილოთ საკუთარი განცხადებისა და ხელმძღვანელობის ინიციატივით განთავისუფლებული თანამშრომლების შესახებ ინფორმაცია - 2012 წლის 1 იანვრიდან, 2013 წლის 1 აპრილამდე 166 საჯარო დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად[4], დროის ამ მონაკვეთში განთავისუფლებული თანამშრომლებიდან უმრავლესობას წარმოადგენდნენ მამაკაცები, ხოლო მათი დომინირების მიზეზი კი ახსნილი იყო ფაქტით, რომ განთავისუფლებულ თანამშრომელთა 67% ძალოვან სტრუქტურებში მუშაობდა, სადაც ძირითადად მამაკაცები მსახურობენ.

აქვე განვიხილოდ დეკრეტული შვებულებით მოსარგებლე პირების რაოდენობა გენდერულ ჭრილში, სადაც ძირითადად დეკრეტთან ასოცირდება მხოლოდ ქალთა სქესი და თავისმხრივ, იგი მხოლოდ ქალთა მიერ გამოსაყენებელ უფლებად არის ნაგულისხმევი, მონაცემები კი ასეთია 163 საჯარო დაწესებულების მონაცემებზე

[4]ნათია გორგაძე - ეკონომიკური საქმიანობა და დასაქმება;

დაყრდნობით, მხოლოდ ერთი შემთხვევა ფიქსირდება, როდესაც მამაკაცმა გამოიყენა აღნიშნული მიზეზით კუთვნილი შვებულების უფლება. ბოლო პერიოდისათვის ნათლად ჩანს, რომ გენდერული თანასწორობისადმი ინტერესი და ყურადღება იზრდება, რაც კვლევების საფუძველზე შეგვიძლია ვირწმუნოთ, სწორედ ამ კვლევებიდან გამომდინარე სამსახურებში, რომლებიც არ წარმოადგენენ სპეციფიკურ და ძალოვან სტრუქტურებს, დასაქმებულ ქალთა და მამაკაცთა რაოდენობები თითქმის გათანაბრებულია, თუმცაღა თანასწორობაზე ზრუნვისა და რიგი ინტერესების მიუხედავად სხვა ვითარებაა ხელმძღვანელ პოზიციებზე, სადაც ხელმძღვანელ მამაკაცთა რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება, აღნიშნულ პოზიციაზე დასაქმებულ ქალთა რაოდენობას.

საქართველოში გენდერული თვალსაზრისით კანონმდებლობის დონეზე ხდება გეგმების შემუშავება, როგორც ოჯახებსა თუ საზოგადოებაში, ასევე ორგანზიაციებსადადაწესებლებებშიმიმდინარეობს მისი რეგულირება, თუმცა კვლავ ბევრ პრობლემას ვაწყდებით და საჭიროა არაერთი კონკრეტული ღონისძიებების გატარება.

1.2. გენდერული თეორიები

ინდივიდებს შორის სოციალურ კავშირს შეისწავლის ინსტიტუციური ეთნოგრაფია, რომლის პროცესების კოორდინაციაც თანხმდება იდეოლოგიასთან, ინსტიტუცია არ განსაზღვრავს სოციალური მოქმედების წესს, იგი მხოლოდ აყალიბებს კოორდინაციის წერტილს, არაერთი მართვის საშუალებით.

პროფესიების მიხედვით და ზოგადად საჭიროა ადამიანთა გადამზადებები, რათა მათ უკეთესად შეისწავლონ, თუ როგორ გადაამუშაონ საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირებული ფაქტები, როგორ განსაზღვრონ ქცევა სწორია, თუ არასწორი და ასევე გაანალიზონ პასუხები, ამ ყოველივესთან დაკავშირებით.

გენდერული ფაქტორების ქცევებისგავლენაზეგვაქვს ოთხი ფსიქოლოგიური განმარტება, რომლებიც წარმოდგენილია თეორიების სახით[5], ეს თეორიები კი მდგომარეობს შემდგომში: პირველი - ფრიოდისეული იდენტიფიკაციის პროცესის თეორია; მეორე - სოციალური დასწავლის კოგნიტური თეორია; მესამე - გენდერული სქემის თეორია და მეოთხე - კობერგისკოგნიტური განვითარების თეორია.

ზოგადი მიმოხილვით განვიხილოდთითოული მათგანი, **ფრიოდისეულმა თეორიამ,** რომელმაც ხაზი გაუსვა ბიოლოგიური სქესის მნიშვნელოვან როლს განვითარების პროცესში, უდიდესი გავლენა მოახდინა იმ დროისათვის, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობდა გენდერის ტერმინი, იგი იყო პირველი ფსიქოლოგი, რომელმაც ახსნა პიროვნებათა სქესობრივი სხვაობების ჩამოყალიბების პროცესი, სადაც ყურადღება გაამახვილა პროცესებზე, როდესაც ბავშვი იძენს ღირებულებებს და უყალიბდება ქცევა, როდესაც ასევე იგი ყურადღებსამახვილებს გენდერული სტერეოტიპების გადმონაშთებზე და საზრდოობს მათზე დამოკიდებული რწმენით.ფრიოდისეულ თეორიას, ბევრი კრიტიკა მოჰყვა, ზოგიერთები თვლიდნენ, რომ მისი მოსაზრება მოწყვეტილი იყო რეალობასა და სოციალურ გარემოს, რომელიც გამოირჩეოდა ინდივიდისტუალურობით, თუმცა აღსანიშნავია, რომ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა, არა მხოლოდ გენდერის, არამედ ადამიანთა მიერ მეცნიერული აზრის განვითარებაზე.

სოციალური დასწავლის კოგნიტური თეორიის თანახმად, ქცევის ასახსნელად საკმარისი არ არის მხოლოდ ადამიანის შინაგანი რეალობის გათვალისწინება, მნიშვნელოვანია აგრეთვე კულტურული და სოციალური ფატორები, ისინი უშუალო ზეგავლენას ახდენენ პიროვნების განვითარებაზე, მოცემული თეორია მოგვითხრობს, რომ დიდი ზეგავლენა აქვს გამოცდილების შეძენას, როდესაც მშობლების, პედაგოგებისა თუ თანატოლების მიერ ყალიბდება ბავშვში გენდერული ორიენტირების ქცევა - ადეკვატური და არადეკვატური ქცევის განმტკიცებით, დასჯით, სათამაშოების შერჩევითა და სხვა და სხვა მომენტებით, რომელიც დაკავშირებულია ქცევების გარჩევასთან ბიჭისა და გოგოს შესაფერისი ქცევის მიხედვით, სწორედ ამ თეორიის

[5]ნათია გორგაძე - თავი2. ლიტერატურის მიმოხილვა - გენდერული თეორიები.

მიხედვით, აღსანიშნავია, რომ ბავშვი ცხოველებისგან განსხვავებით ქცევებს სწავლობს სხვებზე დაკვირვებით,მოქმედებებისა და საუბრის იმიტირებით, რაც მათ მიერ ვლინდება თამაშებში, როდესაც ისინი უფროსების მსგავსად ქმნიან ანალოგიური სიტუაციების იმიტაციას, ასევე ზემოაღნიშნულმა თეორიამ დიდი ზეგავლენა მოახდინა გენდერული კვლევების განვითარებაში.

გენდერული სქემების თეორიაში გენდერი განხილულია მოვლენების უბრალო გაგებით და მეხსიერებაში ცოდნის დიდი რაოდენობით არსებობაზე.სქემის თეორიის თანახმად, მარტივი წინადადების გასააზრებლადაც კი საჭიროა ამ წინადადების სქემაში გატარება,რომელიცშეიძლება იყოს გლობალური, ან სპეციფიკური. ინფორმაციის გაგება ხდება შინაარსის სწორ სქემასთან დაკავშირებისა და შედარების გზით, გენდერის სქემა წარმოადგენს ზოგადი ცოდნის ასოციაციების ქსელს, რომელსაც ინდივიდი გაგებისა და გააზრების პროცესში იყენებს. ამ თეორიის მიხედვითაც, გენდერის სქემის შესწავლა იწყება ადრეული ასაკიდან, ჯერ კიდევ ბავშვობაში,იგი ეხმარება ადამიანს განსაზღვროს საკუთარი გენდერული მიდრეკილება,გენდერული სქემების თეორია წააგავს კოგნიტურ თეორიას, იგი ეთანხმება მოსაზრებას, რომ ადამიანები მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ქმნიან ქცევებს, სოციალურ ნორმებს, ღირებულებებს და ა.შ., ისინი მაინც უწყვეტი კავშირით აკვირდებიან სხვათა ქცევებსა და მოქმედებებს, რათა მათ მაგალითზე შეაფასონ საკუთარი ქცევის სისწორისა და მცდარობის დონე, ყოველივე ეს კი აღნიშნულია სოციალური შემოწმების სახელით.

კოლბრეგის მორალური განვითარების თეორიის მიხედვით, მოცემული გვაქვს კვლევა, რომელიც მან განსხვავებული ასაკის ბიჭებზე ჩაატარა,რომელთაც აწვდიდა მორალურ ამოცანებს და მათ მიერ გაცემულ პასუხებზე დაყრდნობით აფასებდა მათ მორალურ განვითარებას.კოლბრეგის მიერ მიწვდილი დილემის პასუხებიდან, იგი ამოწმებდა თუ რას ჩათვლიდნენ ბავშვებიმორალურად ან ამორალურად,სუბიექტს კი დამნაშავედ ან უდანაშაულოდ. მან შეისწავლა ბავშვების მიერ გაცემული პასუხები და გამოყო მორალური თეორიის სამი ძირითადი დონე: პირველი - პრეკონვენციური დონე; მეორე - კონვენციური და მესამე - პოსტკონვენციური დონე, ხოლო აღნიშნული დონეები კოლბრეგმა ორ-ორ სტადიებად დაყო:

პრეკონვენციურიდონისპირველი სტადია მოიცავდა ვითარებას, როდესაც ბავშვები თვლიდნენ რომ წესებს ადგენენ „ყოვლისშემძლე“ ადამიანები,რომელთაც უნდა დავემორჩილოდ;

მეორე სტადია გახლდათ მარტივი მენტალური სიამოვნება, როდესაც ადამიანები ორიენტირებულნი არიან საკუთარი სურვილების დაკმაყოფილებაზე, სადაც მთავარი სარგებლიანობაა და სადაც ისინი სწორად მიიჩნევენ საქციელს, როდესაც ადამიანი საკუთარი სურვილის მიხედვით მოქმედებს;

მესამე სტადიის მიხედვით, იგი კარგ ადამიანურ ურთიერთობებს განსაზღვრავს, როდესაც ბავშვები თვლიან რომ ადამიანებმა საზოგადოების მოსაწონად უნდა იცხოვრონ,მოიქცნენ კარგად, რაც პიროვნულ გრძნობებს სიყვარულს, ნდობას, ზრუნვასა და ა.შ. მოიცავს და გულისხმობს, ამ სტადიაზე მყოფი ბავშვების სურვილი გახლავთ, მოაწონონ თავი სხვა ადამიანებს და იყვნენ კარგები, მათ აინტერესებთ, თუ რას იტყვიან და რა აზრის არიან მათზე სხვები;

მეოთხე სტადია მოიცავს სოციალური წესრიგის შენარჩუნებას, როდესაც ადამიანი ემორჩილება კანონებს და ასრულებს მათ წესრიგის შესანარჩუნებლად;

მეხუთე სტადიას მიეკუთვნება შემდეგი მდგომარეობა, როდესაც ადამიანები თვლიან რომ კარგ საზოგადოებას წარმოადგენს სოციალური კონტრაქტები, სადაც ადამიანები საკუთარი ნებით არიან ჩართულნი და ისწრაფვიან საყოველთაო კეთილდღეობისათვის და ადამიანთა უფლებების დასაცავად;

მეექსვე სტადიის თანახმად, ამ საფეხურზე მდგომი ადამიანები მსჯელობებ სინდისის პრინციპით, რომელიც მთელ კაცობრიობაზე ვრცელდება, განურჩევლად სოციალური შეთანხმებებისა. ამ სტადიაზე მყოფი ადამიანების მსჯელობა მიმართულია ადამიანთა თანაბარი ზრუნვის, ღირსების პატივისცემისა და თითოულ ადამიანის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე.

1.3. გენდერი განათლებაში: არსებული მონაცემები

გენდერული პრობლემების რიგსახეობებს ვაწყდებით განათლებაში, სადაც მრავალი უთანასწორობა გვხვდება, როდესაც თანაბარ შესაძლებლობებს ესმევათ ხაზი, აღსანიშნავია, რომ განათლების მაღალ საფეხურთან ერთად ოჯახებში მცირდება სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციის მაჩვენებლები და იზრდება ეკონომიკური სარგებელი, განათლება შემოსავლების მხრივ ყველაზე ძლიერი ინსტრუმენტია და კვლევების მიხედვითაც ჩანს, რომ როდესაც განათლებაში გვხვდება უთანასწორობა, იგი შემოსავლების უთანასწორობის თანამიმართებაზეა ასახული. წლების განმავლობაში არ წყდება დებატები განათლების სხვა და სხვა საფეხურზე გენდერული ნიშნით სწავლებისა და განვითარების თანასწორ თუ არათანასწორ უზრუნველყოფაზე. განათლებაში მასწავლებლისა და მისი სწავლების მიდგომების გავლენა მოსწავლეთა სოციალიზაციის კუთხით, არ არის სადაო საკითხი, ხოლო სწავლების განსხვავებულ მიდგომებთან დაკავშირებით დაგროვილი საკითხები უმნიშვნელოვანესიაგანათლების თანაბარ შესაძლებლობებზე მსჯელობისას. მასწავლებლების გავლენის შესწავლისას განსხვავებული სქესის მოსწავლეებისათვის თანასწორი საგანმანათლებლო შესაძლებლობების მინიჭებასთან დაკავშირებით რამდენიმე მთავარი ასპექტია გამოყოფილი, რომლებიც შემდეგი სახისაა: მასწავლებელთა დამოკიდებულებები, მოლოდინები, ქცევები, სადაც ერთიანდება მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის ურთიერთობები და მასწავლებლების მიერ მიმდინარე სწავლება, სადაც უშუალო კავშირშია მასწავლებელთა და მოსწავლეთა უნარები, პრობლემათა გადაჭრისა თუ სხვა მიდგომებთან დამოკიდებულებაში.

მასწავლებლის როლი დიდია გენდერულად განსხვავებული სქესის ბავშვების როლის ჩამოყალიბებაში, ვინაიდან მათ ბავშვობის ასაკიდანვე უვითარდებათ საკუთარი მეს და შესაძლებლობების გაანალიზების ინსტიქტი, როდესაც ისინი აცნობიერებენ გენდერულ პოზიციონირებას, თუმცა კვლევები გვიჩვენებს, რომ მასწავლებლებს ჯერ კიდევ არ აქვთ გაცნობიერებული მამაკაცისა და ქალის შესახებ შეხედულებები, მათი უარყოფის მიუხედავად, ისინი ნებით თუ უნებლიედ საკუთარ, მცდარ შეხედულებებს ნერგავენ მომავალ თაობებში. ასევე კვლევები ადასტურებენ,

რომ ბიჭები ორჯერ უფრო მეტად არიან ჩართულები გამოცდებსა და ტესტირებებში, ვიდრე გოგონები, მიზეზი კი ისაა, რომ ნიჭიერება განხილულია გზიდან აცდენის ფარგლებში, სადაც გოგონები ცდილობენ რომ შეითავსონ მათთვის შესაფერისი არსებული გარემო. გამომდინარე აქედან მოსწავლეები ადრეული ასაკიდანვე ახდენენ გენდერული როლების მიხედვით სოციალიზაციას.

კვლევებზე დაყრდნობით ჩანს, რომ ბიჭები მეტ ყურადღებას იღებენ მასწავლებლებისგან, ვიდრე გოგონები, ეს შეიძლება სულაც გამოწვეული იყოს საგაკვეთილო პროცესში მათ მიერ შემნილი ქაოსიდან, ან დომინანტი პოზიციების დაკავებისგან, როდესაც გოგონებს სურთ ერთობლივი მუშაობა, ბიჭები კი ინდივიდუალიზმს არჩევენ. გოგონები სვამენ ნაკლებ კითხვებს, ბიჭებთან შედარებით და საზოგადოდ არ გამოირჩევიან აგრესიიულობით, რის მიხედვითაც კეთდება დასკვნები, რომ ბიჭებს მეტი შანსი აქვთ, იყვნენ წარმატებულები. უშუალოდ გასათვალისწინებელია, რომ ზოგადსაგანმანათლებლო გარემო თავისთავად წარმოქმნის მკაფიო შეტყობინებებს გენდერის შესახებ. სკოლა მიჩნეულია მოსწავლეებისათვის უსაფრთხო ადგილად, რეალურად კი ვხვდებით სხვა და სხვა ტიპის ძალადობებს ბიჭებსა და გოგონებს შორის, კვლევები ადასტურებს, რომ სქესის მიხედვით აღქმული მოლოდინები არა მხოლოდ მასწავლებლების მხრიდან, არამედ მოსწავლეების მხრიდანაც განსხვავებულია, სადაც მოსწავლეების ნაწილი მიიჩნევენ, რომ მამაკაცი მასწავლებლები უფრო ნიჭიერები არიან, ვიდრე ქალი მასწავლებლები. აქედან გამომდინარე უდაოა, რომ სკოლას აქვს დიდი როლი დაეხმაროს მოსწავლეებს სწორი შეხედულებების ჩამოყალიბებაში.

მასწავლებელთა სტერეოტიპული დამოკიდებულება და სწავლის განსხვავებული მიდგომა გენდერული ნიშნით არ არის ცალსახად განპირობებული საზოგადოებრივი დამოკიდებულებების გავლენით, აქ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს განათლების ის ინსტრუმენტები, რომლებიც თავად მასწავლებლის სწავლების მიდგომებსა და მეთოდებზე გავლენას ახდენს, ესენი კი გახლავთ სასწავლო გეგმა და სასწავლო რესურსები. განათლების პოლიტიკა კი მეტწილად არ ცნობს სკოლის სოციალიზაციის შუამავლის როლს, რათა ჩამოაყალიბოს შეფასების ინსტრუმენტები, არასწორი მიდგომებისგან გამოწვეული საზიანო ეფექტების გასაზომად. საბოლოოდ კი

ფაქტორები, როგორიცაა - მამაკაცთა და ქალთა განსხვავებული სამუშაო შესაძლებლობები, სხვა და სხვა სასწავლო შესაძლებლობები ბიჭებსა და გოგონებს შორის სკოლებში, მასწავლებლებისა და სკოლის ადმინისტრაციის დაშვებები გოგონებისა და ბიჭების ნიჭისა და შესაძლებლობების შესახებ, აგრეთვე თავად გოგონების დაბალი აკადემიური თვითშეფასება და არაამბიციურობა ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია და ახდენს შედეგებზე ზეგავლენას. განათლების სფეროზე ასევე ზეგავლენას ახდენს ქვეყანაში არსებული კულტურული და სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც სახეა წინასწარ განსაზღვრული ქცევებისა.

მნიშვნელოვანია იმის გაანალიზება, რომ მამაკაცებსა და ქალებს მათი სქესობრივი განსხვავებების მიხედვით განსხვავებული გენდერული როლები ენიჭებათ პოლიტიკური, სოციალური და საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროებში. აგრეთვე საინტერესოა დასაქმებულთა სტატისტიკის ანალიზი, მათი განათლების მიხედვით, მაგალითად ACT-ისა და გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ ფარგლებში[6], 2013 წლისთვის იკვეთება, რომ განათლების დაწყებით და საბაზისო საფეხურზე დასაქმებულ მამაკაცთა რიცხვი მკვეთრად აღემატება დასაქმებულ ქალთა რიცხვს, მაშინ როდესაც საშუალო ზოგადი განათლებით დასაქმებულ ქალთა რაოდენობა მეტია, ხოლო დაწყებით პროფესიულ სქემაში მამაკაცების დასაქმება ორჯერ აღებატება ქალთა დასაქმებას.საშუალო პროფესიული განათლების საფეხურზე ქალთა დასაქმების წილი ცოტა მეტია მამაკაცების დასაქმებაზე, ასევე მკვეთრად აღემატება ქალთა დასაქმების წილი იმ შემთხვევაში, როდესაც განათლების დონე და საფეხური არ არის წარმოდგენილი, ხოლო უმაღლესი განათლების მქონე პირთა დასაქმების მაჩვენებელი მამაკაცთა შემთხვევაში მეტია.

აღსანიშნავია, რომ განათლების მიღების მხრივ საქართველოში კანონმდებლობა არაა დისკრიმინაციული და იგი თანაბარ შესაძლებლობებს ემსახურება. თუ გადავხედავთ ასევე სკოლის მოსწავლეების მიერ სკოლის მიტოვების სტატისტიკას, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაზე დაყრდნობით, ბიჭების მხრიდან

[6]ACT-ისა და გერტოს ერთობლივი პროგრამა -„გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში 2013“

სკოლის მიტოვების მაჩვენებელის რაოდენობა მნიშვნელოვნად მეტია გოგონების რაოდენობაზე. აქაც განასხვავებენ კერძო და საჯარო სკოლების მონაცემებს, თუმცა ამ ორის სხვაობა არაა მკვეთრად განსხვავებული ერთმანეთისგან, კერძო სკოლების ინფორმაციაზე დაყრდნობით მათი მაჩვენებელი მცირედით აღემატება საჯარო სკოლის მაჩვენებელს.

განათლების სამინისტროს უჭირს დააზუსტოს სკოლის მიტოვების კონკრეტული მიზეზები, თუ რა განაპირობებს მოსწავლეების მხრიდან ამ ფაქტს. რაც შეეხება უმაღლესი განათლების საფეხურზე მყოფ სტუდენტებს, აქ სტატისტიკური მონაცემებით სტუდენტ გოგონათა რაოდენობა მეტია სტუდენტ ვაჟთა რაოდენობაზე. მნიშვნელოვანია ასევე პედაგოგთა გადანაწილება გენდერული მიმართულებით, სადაც აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მოსწავლეები ძირითადად მასწავლებლის როლში ქალს ხედავენ, მათ ქვეცნობიერად აქვთ ჩამოყალიბებული სტერეოტიპი გენდერული როლების გადანაწილებისა და ფუნქციების შესახებ, შესაბამისად სტატისტიკურ ჭრილში ჩანს, რომ ქალი მასწავლებლების რიცხვი აღემატება კაცი მასწავლებლების რიცხვს. სხვა და სხვა რეგიონების მაგალითებიდან გამომდინარე, სკოლებში მკვეთრად განსხვავებულია ადმინისტრაციაში კაცთა და ქალთა გადანაწილების მაჩვენებელი, მაგალითად დირექტორთა პოზიციაზე დასაქმებულ პირთა რაოდენობა, სადაც ასევე ქალთა სქესი ლიდერობს.

მიუხედავად იმის, რომ საქართველოში განათლების მარეგულირებელ სახელმწიფო დოკუმენტებს არ აქვს დისკრიმინაციული სახე, ისინი მოკლებულნი არიან გენდერულ შეგრძნებას, არ უსვამენ ხაზს თანასწორობის პრინციპს და არ წარმოადგენენ ქმედითუნარიან ხედვებსა და მექანიზმებს გენდერული პოლიტიკის დასამკვიდრებლად.

ასევე უნდა შევეხოდთ მასწავლებელთა პროფესიული მომზადების პროგრამების დეტალურ ანალიზს, რომლის საფუძველზეც ვლინდება, რომ გენდერული საკითხები არ განიხილება, როგორც პროფესიული ცოდნისა და საჭირო კომპეტენციების ნაწილი, სადაც ასევე გენდერული თანასწორობა არაა მიჩნეული მნიშვნელოვან ასპექტად. რაც შეეხება სასკოლო სახელმძღვანელოების ნაწილს, ჩანს რომ დაწყებითი საფეხურის

სახელმძღვანელოები გენდერული ნორმების შესახებ სტერეოტიპების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას უწყობს ხელს და არ ასახავს გენდერულ თანასწორობას, არ ამყარებს სქესთა თანასწორობის პოზიტიურობასა და უხვადაა თავმოყრილი გენდერული სტერეოტიპები. სახელმძღვანელოებისათვის შერჩეული ტექსტების მიხედვითაც აქტიურობასა და ძალაუფლებასთან დაკავშირებული თვისებებით ძირითადად მამაკაცები გამოირჩევიან და მათ აქვთ მიკუთვნებული ყველა ჩამოთვლილი თვისებები, ესენია: განსწავლული, მეტად ნიჭიერი, ღვაწლმოსილი, განათლებული, ჭკვიანი, გამოცდილი, ღირსეული ქართველი, მოაზროვნე, გენიოსი, სხარტი, გულკეთილი და ა.შ. ქალები კი ხასიათდებიან შემდეგნაირად: მშვენიერი, ლამაზი, სათნო, საუკეთესო აღმზრდელი შვილებისა, შესანიშნავი მცოდნე მშობლიური ენისა და ლიტერატურისა, მგმნობიარე გულის მქონე და ა.შ. აქედან გამომდინარე, სახელმძღვანელოები შექმნილია მამაკაცისა და ქალის მკვეთრად განსხვავებული გენდერული ნიშნით. შეგვიძია ვთქვათ, რომ ქალების ასპარეზი შედარებით მწირია.

გამოკითხვების შედეგად კი კვლავ ვლინდება, რომ მასწავლებლები უარყოფენ ფაქტს გენდერული უთანასწორობის შესახებ და ისინი არ არიან ინფრმირებული აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში, შესაბამისი ღონისძიებების გასატარებლად, რა კუთხითაც აუცილებელია მოხდეს ჩარევა და არსებული ხარვეზების გამოსწორება.

1.4. გენდერული ძალადობა - ქალი და ოჯახი

გენდერული ნიშნით ჩაგვრა, თანაბარი უფლებების შელახვა, დისკრიმინაცია აქტუალური პრობლემაა და უშუალოდ მათში მოქცეული ობიექტების დასაცავად არსებობს კანონი, რომელიც საქართველოში განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციითა და ხელშეკრულებებით, თუმცა გენდერული ძალადობის სტატისტიკა ვრცელია და მისი მონაცემები მკვეთრად დაბალი არსებულ ვითარებასთან შედარებით, სავარაუდოდ ამ ყოველივეს მიზეზი გახლავთ ის, რომ დანაშაულის შეტყობინების მაჩვენებელი მცირეა - დანაშაული კი ბევრი, არაა თავისუფალი დანაშაულის ღიად

წარმოჩენა, არიან ასაკობრივად აზრისკენ მიმართული ადამიანები, რომელთა გენდერული შეხედულებები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგალითად ის რაც ჩვეულებრივი მოვლენაა ხანდაზმული ქალბატონებისა და მამაკაცებისთვის, გენდერულ ჩაგვრასა და პრობლემას წარმოადგენს ახალგაზრდა თაობებისთვის, ზოგადად უფროსი თაობები წინააღმდეგი არიან გარკვეული ცვლილებების, რასაც მიესალმებიან ახალგაზრდები და სწორედ დანაშაულის შეტყობინების ძირითადი მაჩვენებელიც ახალგაზრდა თაობათა მხრიდან არის წარმოჩენილი. ასევე განსხვავებული შეხედულებები არსებობს ქალაქისა და სოფლის მცხოვრებთათვის, მათი მოსაზრებები ამცდარია ერთმანეთს, მაგალითად ქალაქში მცხოვრებ რესპოდენტთა 32%-ის, ხოლო სოფელში მცხოვრებ პირთა 38%-ის განცხადებით გენდერული თანასწორობა საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული, თუმცა ფაქტია, რომ მამაკაცები და ასევე ქალები ოჯახში ფუნქციების პატრიარქალური წესით გადანაწილებას ემხრობიან, ხოლო ოჯახს გარეთ ქალები კაცების თანასწორუფლებიანად ითვლებიან, პრობლემა მდგომარეობს შემდგომში, რომ მამაკაცებს კვლავ სწამთ ტრადიციული გენდერული როლების, ოჯახში და ამავდროულად ქალებს მამაკაცების თანასწორებად აღიარებენ, ეს შეხედულებები გამწვავებული სახით გვხვდება, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებას ეხება საქმე, მიუხედავად იმისა რომ განსხვავებები აღინიშნება ამ ორ სქესს შორის, მამაკაცების ¾, ხოლო ქალბატონების ნახევარზე მეტი ემხრობა იმ მოსაზრებას, რომ ოჯახში მამაკაცი უნდა იღებდეს საბოლოო გადაწყვეტილებას და ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ქალების აზრი არაა დაფასებული.

საქართველოს ცხოვრებისეულ რეალობაში არსებობს მყარი წარმოდგენები იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს „ კარგი ქართული ოჯახი“, ჩამოყალიბებულია ოჯახის წევრების ქცევა და უფლება-მოვალეობები, თუ როგორ უნდა მოქმედებდეს თითოული ოჯახის წევრი. კვლევები გვიჩვენებს რომ ოჯახში ქალისა და მამაკაცის ფუნქცია-მოვალეობები საკმაოდ ტრადიციულია, რაც ხასიათდება სუბორდინაციით და ოჯახური იერარქიით, რომელიც ქალისა და კაცის როლზე სტერეოტიპულ, ტრადიციულ და ხშირად პატრიარქალურ წარმოდგენებს ეფუძნება. ასეთად შეგვიძლია მივიჩნიოდ წარმოდგენა კაცების შემთხვევაში, როდესაც ოჯახის მრჩენელის როლი მას აქვს

მიკუთვნებული და საკუთარ თავზე აქვს აღებული ფინანსური ზრუნვა, სტატისტიკის მიხედვითაც ვხედავთ, რომ მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი, თითქმის 88% ფიქრობს ანალოგიურად - მათთვის იდეალურ შემთხვევაში ოჯახის მრჩენელი კაცი უნდა იყოს, 1 % თვლის, რომ ეს ფუნქცია ქალმა უნდა შეითავსოს, ხოლო 11% აზრით, ქალისა და მამაკაცის როლები თანაბარი უნდა იყოს და ორივეს შეჰქონდეთ წვლილი ოჯახის რჩენისათვის. გამოკითხულთა 79% იზიარებს აზრს, რომ ქალი ოჯახით ფასობს უფრო მეტად, ვიდრე კარიერული მიღწევებით, ამიტომ მათი მოსაზრება ეყრდნობა ვითარებას, როდესაც უმჯობესია კაცი მუშაობდეს და ქალი ოჯახს უვლიდეს, ეს ის შემთხვევაა, რასაც იზიარებენ უმეტესად კაცები თითქმის მათი 73 %.[7]

თუ ვისაუბრებთ ურთიერთობებსა და ძალაუფლებრივ მიმართულებებზე, აღსანიშნავია, რომ ამგვარი მიმართებები დიდ გავლენას ახდენს ოჯახის წევრების ემოციურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, რაც შემდგომ ქცევებში პოულობს გამოხატულებას.

კვლევებს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ქართველი ქალი დახატულია, როგორც მორჩილი ცოლი, დიასახლისი და დედა. მისი სამსახური და კარიერა ნაკლებად მნიშვნელოვნად არის ჩათვლილი. გამოკითხულთა 63% თვლის, რომ კარგი ცოლი უნდა ემორჩილებოდეს მეუღლეს, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მათი მოსაზრებები განსხვავდება და არ ეთანხმება მას. არსებობენ ქალები, რომლებიც ფიქრობენ რომ მიღებულ გადაწყვეტილებებში მათაც მიუძღვით გარკვეული წვლილი, თუმცა რეალობა არ შეესაბამება აღნიშნულ მოსაზრებას, რასაც ჩატარებული კვლევები ამყარებს, მაგალითად კვლევებმა აჩვენა, თუ რას ფიქრობს საზოგადოების ნაწილი, ისინი კი ფიქრობენ, რომ ქალის ძირითადი მოვალეობა ქმრის მორჩილებაა და მისი ნათქვამი სიტყვის უტყუარ სისწორეს წარმოადგენს და მათი შესრულება გარდაუვალია. საერთაშორისო გამოცდილების თანახმად, გენდერული ძალადობის რისკები მცირდება, როცა როლები როგორც ოჯახში, ასევე მის გარეთ თანასწორუფლებიანია.

კვლევები გვიჩვენებს დროთა განმავლობაში შეცვლილი შეხედულებების ნორმებსა და დროის ფაქტორის გავლენას გენდერულ საკითხებზე, თუ როგორ

[7]GE_UNDP_Gender_Research_GEO.pdf- დასაქმება და შემოსავლები

შეიცვალა ტოლერანტული დამოკიდებულებისკენ მიმართულობით ახალგაზრდა თაობები, ვიდრე ეს ხანდაზმულთა პერიოდში გვხვდებოდა, აღნიშნული ვითარება კი გვიჩვენებს საქართველოში დისკრიმინაციული დამოკიდებულებების შემცირების ზოგად ტენდენციას, იმ ჯგუფებისადმი, რომლებიც წარსულში მკაცრად სტიგმატიზირებულნი იყვნენ, თუმცა ამავდროულად შეინიშნება გაზრდილი აუტანლობა სხვა კულტურის წარმომადგენლებისადმი, ან განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისათვის, ასევე განსახილველია ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებული გენდერული ნორმები, სადაც ქართველთა უმეტესობა ცოლზე ხელის აღმართვას გამართლებას არ უძებნის, თუმცაღა დასძენს, რომ იგი გამართლებულია ღალატის შემთხვევაში, როდესაც საქმე „ღირსებას“ ეხება. ორი ყველაზე ხშირად დასახელებული მიზეზი, რის გამოც ფიზიკურ ძალადობას ამართლებენ, გახლავთ ერთგულებისა და მორჩილების დარღვევა, თითქმის ყოველი შემთხვევიდან გამოკვეთილად ჩანს, რომ კაცები უფრო მეტად ემხრობიან ძალადობას, ვიდრე ქალები.

ყოველივე ძალადობის შემთხვევასთან გარკვეული როლი აქვს ცუდ საცხოვრებელ პირობებს და განათლების დაბალი დონეს. ახალგაზრდა, მარტოხელა, ან ქმარს გაშორებული ქალბატონები სექსუალური შევიწროვებისა და დევნის ყველაზე მეტ შემთხვევებს ხვდებიან, აღსანიშნავია, რომ არსებობენ რიგი კატეგორიის ქალები, რომლებსაც არ სურთ აღნიშნული შევიწროვებებისა და საკუთარი თავის მსხვერპლად აღიარება, მათთვის ეს ვითარება სირცხვილის ფაქტთანაა დაკავშირებული და ამჯობინებენ გაჩუმებას აღნიშნულთან დაკავშირებით, ასევე მნიშვნელოვანია დაბალ ასაკში ქორწინების შემდგომ გამოკვეთილი ძალადობები, როდესაც ადრეულ ასაკში დაქორწინებული ქალები უფრო მეტად განიცდიან ძალადობას, ვიდრე სრულწლოვან ასაკში დაოჯახებულები, განსხვავება გამოიკვეთა ასევე ქალების მიმართ ძლადობის ფაქტებშიც, ვისაც ჰყავდათ, ან არ ჰყავდათ ბავშვები ოჯახში. რესპოდენტები გამოკითხულნი იყვნენ იმასთან დაკავშირებითაც, თუ რამდენად უთქვამთ უარი სამსახურზე პარტნიორის გამო, ან თუ წაურთმევია პარტნიორს მათთვის ფული.

გარკვეული ანალიზის შედეგად გაირკვა რომ ადმინისტრაციული საზღვრის პირად მცხოვრები პირები, რომლებიც ყველა მაჩვენებლიდან ყველაზე ღარიბ ჯგუფს წარმოადგენდნენ, ყველაზე მეტად განიცდიან ამ სახის შეურაცყოფას.

ფიზიკური ძალადობის მეტი წილი მოდის ოჯახში მომხდარ ძალადობაზე, გამოკითხული ქალების უმრავლესობამ - 86% - მა განაცხადა, რომ ძალადობის ფაქტს ოჯახშიჰქონდა ადგილი, თუმცა სტატისტიკური მონაცემები არ არის ზუსტი, ვინაიდან გარკვეული კატეგორია არ აღიარებს ძალადობის ფაქტს და სიჩუმით შემოიფარგლება არნიშნული ვითარების გამოკითხვისას.

გენდერული ძალადობის მეტი წილი სიმთვრალით ჩადენილ ძალადობს უკავშირდება, როდესაც გარკვეული ქალბატონების გამოკითხვა მოხდა, თუ რა იყო მათ მიმართ ჩადენილი ძალადობის მიზეზი, უმეტესობამ ალკოჰოლის მოხმარების ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოძალადეები დაასახელა, ალკოჰოლის შემდეგ ყველაზე გავრცელებული ძალადობის მიზეზებია, ფულთან დაკავშირებული პრობლემები, ეჭვიანობა და დაუმორჩილებლობა. მიმდინარე კვლევის თანახმად, ქართველი ქალების 9,7%-მა გამოსცადა სექსუალური ან ფიზიკური ძალადობის ერთი შემთხვევა მაინც, 7,7% იტყობინება, რომ იტანჯება ფიზიკური ძალადობით, ხოლო 4,2 % სექსუალურ ძალადობას განიცდის. რაც შეეხება კაცებს, ისინი ფიზიკურ ძლადობას განიცდიან სახლის გარეთ და არა პარტნიორის მხრიდან. მამაკაცების დაახლოებით 14% იტყობინება ფიზიკური ძლადობის შესახებ, რაშიც იგულისხმება ქუჩის ჩხუბი, სამხედრო ან სხვა ძალადობის ფორმა, რომელიც აუცილებელი არაა სქესზე იყოს ორიენტირებული, კითხვაზე თუ სად მოხდა არა პარტნიორის მხრიდან ძალადობა კაცების 85%-მა ქუჩა ან სხვა საჯარო სივრცე დაასახელა, სადაც მოძალადე 93%-ის 33 შემთხევაში მამაკაცი იყო. ფაქტობრივად შემთხვევების 54% რამოდენიმე დამნაშავეს მოიცავდა, მიუხედავად იმისა, რომ ქალებისა და მამაკაცების მიერ გადატანილი ძალადობის სტრუქტურა განსხვავებულია, საქართველოში კაცებიც იტყობინებიან ძალადობის გამოცდილების შესახებ. არანაკლებ აღსანიშნავია სექსუალური უმცირესობის წინააღმდეგ არსებული ძალადობების ფაქტების სიმრავლე, როდესაც დისკრიმინაციის გამომწვევი მიზეზებია: 1. ტრადიციული ოჯახების შენარჩუნების მნიშვნელობა და ტრადიციული ფასეულობების ზრდა; 2. არანორმატიული

სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის არანორმალურად მიჩნევა; 3.ლგბტ პირების გარეგნულ მხარეში ან ქცევით მანერაში შესამჩნევიგანსხვავება; 4. ლგბტ თემის შიგნით დანერგილი ჰომოფობია თუ ტრანსფობია და ა.შ.[8]

სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, რომ გარკვეული რაოდენობრივი მაჩვენებელი ლგბტ პირებისადმი ტოლერანტობის სავარაუდო ზრდაზე მიანიშნებს, თუმცა აღსანიშნავია ადამიანების მიმართ ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობა, რაც საქართველოში ფართოდაა გავრცელებული. გამოკითხვაში მონაწილე ლგბტ წევრებიდან ყველამ განაცხადა, რომ დაგაურჩა ან შეესწრო ფიზიკურ თავდასხმას, ასევე ლგბტ პირებთან დაკავშრებულ პიროვნულ დამოკიდებულებას მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს იმაზე, თუ რამდენად მიუწვდებათ ასეთ ადამიანებს ხელი დასაქმებაზე და მომსახურებაზე, ან რამდენად შეზღუდულნი არიან ისინი სამსახურის დაწყების მცდელოსბისას. არანაკლები გენდერული პრობლემები გვხვდება საჯარო სფეროშიც, სადაც არიან სოციალური ჯგუფები, რომლებიც ძველ გენდერული პრივილეგიების მომხრე არიან და იცავენ ტრადიციული და რელიგიური იდენტობის სახელით.

საქართველოში გენდერულად საზოგადოებრივი თვალსაზრისით შესამჩნევია პროგრესი, ქალთა უფლებების დაცვისა და აღნიშნული უთანასწორობის აღმოფხვრის მიზნით საქართველო დისკრიმინაციის წინააღმდეგ კონვენციას 1994 წელს შეუერთდა, რის შემდგომაც ქალთა უფლებების დაცვის შესახებ უმნიშვნელოვანეს იურიდიულ დოკუმენტს წარმოადგენს - „ ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ კონვენცია“[9], რომელიც არეგულირებს თანასწორუფლებიანობის ნორმებს, თუცა გენდერული ძალადობის ფაქტები კვლავ აქტუალური და უხვია, ასე რომ მათ წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები კვლავ აქტუალურია და საჭიროებს მის აღმოსაფხვრელად რიგ მოქმედებებს.

[8]GBVinGeorgiaReport_ge.pdf - გენდერული ძალადობა საქართველოში
[9]https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339687?publication=1 - ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ კონვენცია (ნანახია: 05.04.2019)

1.5. სოციალური აქტივობები და პირადი ცხოვრება

ქართულ სინამდვილეში, კაცი ყოველთვის მიჩნეულია თავისუფლად, როგორც ოჯახს შიგნით, ისე ოჯახს გარეთ. თავად ქალების აზრითაც, კაცებისთვის მისაღებია ღამე ქუჩაში ყოფნა, ქალისთვის კი მსგავსი ქცევა ნაკლებად მისაღებად ითვლება. უამრავი მაგალითი არსებობს, რაც კაცისთვის გამართლებულია, ხოლო ანალოგიური ქცევა ქალის შემთხვევაში იწვევს ნეგატიურ დამოკიდებულებებს მის მიმართ. მიიჩნევა, რომ მამაკაცს „ეპატიება“ მეტი, ქალისგან განსხვავებით, მაგალითად საზოგადოების ნაწილს, მეტად ტოლერანტული დამოკიდებულება აქვს კაცის ღალატის მიმართ, მაშინ როდესაც ქალისგან ღალატი მიუღებელია. ქალები იმისათვის, რომ იყვნენ კარგი მეოჯახენი და ასევე შედსანიშნავი დედები, ხშირ შემთხვევაში მეუღლეებს პატიობენ ღალატს, ამას ხელს უწყობს საზოგადოების მოსაზრება - ისინი არ თვლიან, რომ კაცის ღალატი განსაკუთრებულად მიუღებელი საქციელია, მაშინ როდესაც ქალის ღალატი მძიმე და გაკიცხვადი საქციელის ჩადენად ითვლება. ასევე კვლევები ადასტურებენ, რომ როდესაც ირჩევენ საკუთარ პირად ცხოვრებას, მომავალს თუ პროფესას, კაცები უფრო თავისუფალნი არიან, ვიდრე ქალები, აქედან გამომდინარე მიიჩნევა, რომ საქართველოში ქალისა და კაცის უფლებები არაა თანაბრად დაცული. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ქალის მიერ კაცის ღალატზე თვალის დახუჭვა გარკვეულწილად ქალის ღირსებად შეიძლება მოიაზრებოდეს.

არსებობს მკაფიო ქცევის მოდელები, რომელთა მიხედვით, ქალს მოეთხოვება ქართულ საზოგადოებაში ცხოვრება, ეს მოდელები ყოველდღიურ აქტივობებში და პირად ცხოვრებისეულ გადაწყვეტილებებშია წარმოდგენილი, მაგალითად იგი შეიძლება ეხებოდეს თამბაქოს მოხმარებას, ალკოჰოლის მიღებას, ან ცალკე საცხოვრებლად გადასვლას, გათხოვებას. თავისთავად ქცევის მოდელების არსებობა საკმაოდ ჩვეული მოვლენაა, იგი სხვა და სხვა კულტურაში შესაძოა სხვადასხვანაირად იყოს აღქმული, თუ რა სახის ქცევაა მიღებული, ან მიუღებელი.

როგორც კვლევები აჩვენებს საზოგადოება განსხვავებულად აღიქვამს ასაკის მიხედვით ქცევების მართებულობას, თუ რა ასაკშია მისაღები ესა თუ ის ქცევა ქალისა

და კაცისთვის. მაგალითად მშობლებისგან ცალკე ცხოვრებას ქორწინებამდე და თანაცხოვრებას ქორწინების გარეშე, საზოგადოება კაცებისთვის უფრო მისაღებ მდგომარეობად მიიჩნევს ვიდრე ქალებისათვის, ხოლო რაც შეეხება სქესობრივ ურთიერთობებს, გამოკითხულთა 68 % თვლის რომ ყოველივე არამართებულია ქალისთვის. მნიშვნელოვანია ასევე ქალის თავისუფლებასთან და მისაღებ ქცევასთან დაკავშირებული საკითხი - ბავშვის გაჩენა ქორწინების გარეშე, რა შემთხვევასაც მოსახლეობის 62% მიუღებლად აფასებს და კატეგორიოლად ეწინააღმდეგება მოსაზრებას, რომ ქალს ჰყავდეს შვილი ქორწინების გარეშე. ყოველივე მიმართებაში განსხვავებულია ქალაქისა და სოფლის მცხოვრებთა დამოკიდებულებები. სოფელში მცხოვრები მოსახლება მეტად სკეპტიკურადაა განწყობილი და არ ამართლებს ქალის სურვილს, გააჩინოს ბავშვი ქმრის გარეშე, მაშინ როდესაც ქალაქში მცხოვრებლების ნეგატიური დამოკიდებულება შედარებით მცირეა, თუმცა საკმაოდ დიდ რაოდენობას მოიცავს , თითქმის 50 %.

სოციალური აქტივობებით ორივე სქესის წარმომადგენლები დიდად არ არიან დაკავებულნი, თუმცა აქაც იკვეთება, რომ მამაკაცები მეტად დაკავებულნი არიან სახლის გარეთ, ვიდრე ქალები. კვლევები ადასტურებს, რომ მამაკაცები მეტად მიმართავენ გართობის საშუალებებს ადგილებში, სადაც ქალების აქტივობის წილი სიარულის სიხშირის მხრივ მცირეა და თითქმის არ არსებობს. მხოლოდ ღამის კლუბებსა და დისკოთეკებზე სიარული აღმოჩნდა ორივე სქესისათვის თანაბრად არაპოპულარული. თავის მოვლასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვის საშუალებებს შორის ყველაზე ხშირად გამოყენებადი გახლავთ სილამაზის სალონი, სადაც სტუმრობის სიხშირით ასევე მამაკაცები გამოირჩევიან, სულ მცირე თვეში ერთხელ მას მამაკაცების 32 %, ხოლო ქალების 28% სტუმრობს. კონცერტებსა და კინოთეატრებში ქალები და მამაკაცები თითქმის ერთნაირი სიხშირით დადიან, ხოლო მუზეუმებსა და გამოფენებზე ქალების სიარულის აქტივობა მეტია. რაც შეეხება ქუჩას, მამაკაცების დამახასიათებელი ქცევის ნაწილია, ხოლო მეგობრებთან და მეზობლებთან სტუმრობაც თანაბარი მაჩვენებლებით შემოიფარგლება.

1.6. ქალი და პოლიტიკა

საზოგადოების შეხედულებები და დამოკიდებულება გარკვეულ სფეროებთან და საკითხებთან დაკავშირებით დიდწილად განპირობებულია მათი აღნიშნულ სფეროებთან შეხებით, თუ რამდენად აქტიურად არიან ჩართულნი საზოგადოების წევრები ამ სფეროებთან მიმართებაში. კვლევა პოლიტიკური აქტივობის შესახებ გვიჩვენებს, თუ რამდენად არიან დაინტერესებულნი კვლევის მონაწილეები სამოქალაქო და პოლიტიკურ აქტივობის კუთხით. მამაკაცებისა და ქალების პოლიტიკისადმი ინტერესის თვალსაზრისით, უმნიშვნელოდ მეტი კაცი გამოხატავს პოლიტიკით დაინტერესებას, ვიდრე ქალი.როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევები ადასტურებს, რომ პოლიტიკა უფრო მეტად მამაკაცთა საქმიანობის სფეროდ განიხილება, საზოგადოების აზრით ქალის ადგილი პოლიტიკაში ლიმიტირებული ნიშნით უნდა შემოიფარგლებოდეს, უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ზოგადად კაცს უფრო შეეფერება პოლიტიკური საქმიანობა ვიდრე ქალს, პოლიტიკა მათთვის კაცების შესაფერისი სფეროა და მათი მოსაზრებების თანახმად, კაცები უკეთესად ართმევენ ამ საქმიანობას თავს ვიდრე ქალები და კაცები ქალებზე უკეთესი ლიდერები არიან.აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მოსაზრებას იზიარებს ქალთა 56%. თვისებრივი კვლევების შედეგად ფიქსირდება მოსაზრება, რომ მამაკაცებს პოლიტიკაში მეტი წარმატების მიღწევა შეუძლიათ, რაზეც ამ ორ სქესთა აქტივობის პროპორცია მეტყველებს.

ფაქტორები, რომელიც განაპირობებს მამაკაცის უპირატესობას პოლიტიკის შეთავსების მხრივ შემდგომში მდგომარეობს: 1. ქალის განსხვავებული ბუნება; 2. ქალი როგორც სუსტი არსება მამაკაცთან შედარებით; 3. ქალის ოჯახში დაკავებულობა; 4. თავად პოლიტიკური საქმიანობის სპეციფიკა; 5. ოჯახის წევრების, მეუღლის ნეგატიური დამოკიდებულობა მის პოლიტიკაში ჩართულობაზე; 6. ამომრჩეველთა მხრიდან მხარდაჭერის დაბალი ალბათობა და ა.შ. თუ განვიხილავთ სათითაოდ მოცემული არგუმენტების ნაწილს, ისინი ასაბუთებენ, თუ რატომაა პოლიტიკა მეტად შესაფერისი სფერო კაცებისთვის. მოსახლეობის 54% იზიარებს მოსაზრებას, რომ

პოლიტიკაში ქალი უფრო სუსტია და უჭირს პასუხისმგებლობის აღება საკუთარ თავზე, საკმაოდ დიდი რაოდენობა მიიჩნევს, რომ ქალის ბუნებით სისუსტის გამო პოლიტიკა მისთვის შეუფერებელ სფეროს წარმოადგენს და იგი სათანადოდ ვერ შეძლებს აღნიშნულ სფეროში სირთულეების გამკლავებას.

საზოგადოების ნაწილისათვის პოლიტიკური ლიდერისათვის აუცილებელია ქარიზმატულობა, რაც ქალს ნაკლებად ახასიათებს, ქალს გაუჭირდება გაუძლოს იმ დატვირთვას, რაც პოლიტიკური საქმიანობისათვისაა დამახასიათებელი, აღნიშნული ფაქტორი შესაძლოა უკავშირდებოდეს, როგორც ქალის სუსტ ბუნებას, ასევე მის ოჯახში დაკავებულობას, რის შედეგედად რთულია წარმოდგენა იმის, რომ იგი პოლიტიკური საქმიანობისათვის შესაფერის კანდიდატს წარმოადგენს.

კაცის ჩართულობას პოლიტიკაში ამყარებს მოსაზრება, რომ იგი მეტად სოციალურად აქტიურია ქალზე და სწორედ ეს სოციალური კონტაქტები უწყობს მას ხელს პოლიტიკური წარმატებების მიღწევაში. მართალია გამოკითხულთა ნაწილი მიიჩნევს, რომ პოლიტიკოსი ქალების რბილი ბუნება არაა მისი ნაკლებად პრინციპულობის მიზეზი, თუმცა საკმაოდ დიდი ნაწილი თვლის, რომ პოლიტიკოსი ქალი მეტად რბილია, პოლიტიკოსი კაცისაგან განსხვავებით, ამიტომ არსებობს რისკფაქტორები, რომ იგი მეტად დამთმობი და ნაკლებად პრინციპული შეიძლება აღმოჩნდეს, ამ დაშვებების თანახმად კი ვხედავთ, რომ ქალი მამაკაცთან შედარებით უფრო ცუდი პოლიტიკოსი გამოდის.

ზემოაღნიშნული არგუმენტების ნაწილი, რომელიც ქალისთვის პოლიტიკის შეუფერებლობას ასაბუთებს, უკავშირდება ობიექტურ გარემოებებსაც, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს ქალს პოლიტიკაში ჩართულობის პროცესში. მაგალითად შეხდულებას, რომლის მიხედვითაც ქალს გაუჭირდება წარმატებული იყოს პოლიტიკაში, რადგან ის საოჯახო საქმეებში შეუშლის მას ხელს, ამყარებს სტერეოტიპი, რომ ოჯახი ქალისთვის მთავარი პრიორიტეტია და მისთვის როგორც ღირებულება, კარიერაზე მაღლა უნდა იდგეს. კაცის ჩართულობა ოჯახში, ქალთან შედარებით მინიმალურ ზღვარზეა მოსახრებული და ძრითადი როლი ქალს აქვს დაკისრებული,

რაც ასევე ქალის პოლიტიკური კარიერისათვის ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკაში ჩაბმის მხრივ შესაძლოა დასაოჯახებელ ქალსაც შეექმნას პრობლემა, ამჯერად კი მშობლების მხრიდან, როდესაც მშობლებს არ სურთ მათი შვილი ფიგურირებდეს აღნიშნულ საქმიანობაში და ზეგავლენას ახდენენ შვილების პოლიტიკაში მოღვაწეობის სურვილზე.

ქალის პოლიტიკაში წარმატების მიღწევის დაბალი პოტენციალი მამაკაცთან შედარებით ასევე აისახება იმით, რომ ქალს უფრო ნაკლები ამომრჩეველი უჭერს მხარს, ვიდრე მამაკაცს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ ეწინააღმდეგებიან პოლიტიკის რიგ სფეროში ქალების ფიგურირებას, მაინც მიიჩნევენ, რომ კაცს მეტი ხმარდამჭერი ეყოლება, ვიდრე ქალს, მიზეზი კი კვლავ უცვლელი რჩება - ქალი სუსტ ფენომენადაა მიჩნეული და უმჯობესია საკუთარი ენერგია და დრო ოჯახს მოახმაროს.

აღსანიშნავია, რომ როდესაც ვადარებთ პოლიტიკასა და ბიზნესში ჩართვის მზაობს, ქალის მიერ ბიზნესში ჩართვა უფრო რეალისტურადაა მიჩნეული,ვიდრე პოლიტიკაში,

ზემოჩამოთვლილ ფაქტორებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ თუ ქალების ნაწილი წარმოიდგენდა თავს ბიზნესში ცოდნის გაანალიზების საფუძველზე, რომელიც დაეხმარებოდა მას ამ ბიზნესის წამოწყებასა და მართვაში, გარკვეულ ნაწილს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა საკუთარი თავი განეხილა პოლიტიკურ ჭრილში და პოლიტიკოსის როლში. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიმსჯელოდ იმაზეც, რომ ქალების უმეტეს ნაწილს თავად ვერ წარმოუდგენიათ საკუთარი თავი პოლიტიკაში და პოლიტიკოსად, რაც პოლიტიკური აქტივობების დონეს დაბლა წევს მათი მხრიდან, ვინაიდან თუ ისინი ამ სფეროში საქმიანობის რეალისტურ ვითარებას ვერ ხედავენ და მათთვის წარმოუდგენელია პოლიტიკური მოღვაწეობა, რთულია კონკრეტული ცოდნის გაღრმავება და შემდგომ ქალთა მასისათვის მიწოდება ამ აქტივობების კუთხით, რის მიღმაც ისინი კვლავ დაეყრდნობიან მოსაზრებას - ქალის სისუსტისა და პოლიტიკაში მოღვაწეობის შეუფერებლობის შესახებ.

დასახელებული მიზეზებიდან, თუ რატომ არ ერთვებიან ქალები პოლიტიკაში, წინა პლანზეა მათი მხრიდან დაბალი თვითშეფასებისა და საკუთარ ძალებში არ არსებული რწმენის ფაქტორები, რაც არანაკლებ მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათი აქტივობების დახშობასა და ბარიერების შექმნაში. ისინი ფიქრობენ, რომ მათ არ შეუძლიათ იყვნენ წარმატებულები ოჯახს გარეთ, როგორც ეს მამაკაცებს გამოსდით, მათ დაბალთვითშეფასებას უკავშირდება ამბიციების არარსებობა, რაც ასევე ხელისშემშლელ ფაქტორებს შორისაა წარმოდგენილი.

თუ გავითვალისწინებთ მათ მიერ ასეთ დამოკიდებულებას, გამოდის, რომ ქალებს სწამთ სტერეოტიპების, რაც მათ მიმართ არსებობს. ასევე სავარაუდოა, რომ მათი უნარების აღქმა, მათივე მხრიდან დაკავშირებულია და გარკვეულწილად განპირობებულია მათი სტატუსით და მდგომარეობით ოჯახში, მათ თვითაღქმას კი თან ერთვის მოსაზრება, ქალის საქმიანობის სფეროდ მხოლოდ ოჯახის ფარგლებში მოქცევისა და სახლის გარეთ მათი აქტივობების არა სასურველ მდგომარეობად ჩამოყალიბების შესახებ. გამოდის რომ საზოგადოება კარნახობს ქალს, თუ როგორი ცხოვრების წესით უნდა ცხოვრობდეს ის, რა ეკრძალება და რა შეეფერება მის სტატუსს, ასევე საზოგადოებიდან გამომდინარე მოდის სიგნალი, რომ მათი არჩევანი არც ისე მნიშვნელოვანია და საკუთარი ინტერესები უნდა დაივიწყოს იმის გამო, რომ იგი შეესაბამებოდეს ქალის „იდეალს“, ამიტომაცაა ბუნებრივია მათი განცდების წარმოშობა, რომ იგი მხოლოდ ოჯახში შეიძლება იყოს წარმატებული და დაბალი მოლოდინებით ხედავდეს საკუთარ განვითარებას ოჯახს გარეთ.

ბუნებრივია, რომ ქალსა, როგორც მამაკაცს, საკუთარი არჩევანის თავისუფლება უნდა ჰქონდეს ეს იქნება ოჯახი თუ კარიერა, მაგრამ არიან ქალების კატეგორია ვისაც არ აქვთ საშუალება გამოსცადონ საკუთარი თავი სხვა სფეროებში, რაც უყალიბებთ მათ სურვილს, კვლავ ოჯახით დაკავდნენ და არ მოახდინონ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია. საზოგადოებაც აქტიურად მოიაზრებს მათ კარგი დედის და მეოჯახის ამპლუაშ და კიდევ ერთხელ აძლევს წახალისებას ქალის ამ მხრივ რეალიზაციას, რა საკვირველია გარკვეული ზეგავლენა ისახება აღნიშნულიდან გამომდინარე და ისინიც მეტად მოტივირებულნი ხდებიან მიმართონ ძალისხმევა კარგი დედობისა და დიასახლისობისკენ, ეს ფუნდამენტური ფუნქციები კი უწყვეტ დასჯისა და განკიცხვის

რეჟიმში მიმდინარეობს და რაოდენ კარგი დედა თუ დიასახლისიც არ უნდა გახლდეს ქალი, ეს მის მოვალეობად ითვლება და არ წარმოადგენს რაიმე განსაკუთრებულ მიღწევას.ქალთა მიმართ დამოკიდებულების აღნიშნული წნეხი, ყველა შემთხვევაში - პირდაპი თუ ირიბად უარყოფითად მოქმედებს ქალების ბიზნეს თუ პოლიტიკურ ჩართულობასა და აქტივობებზე.

თავი 2.გენდერული თანასწორობის პოლიტიკა

2.1. საკანონმდებლო ინიციატივები,ცვლილებები და მნიშვნელოვანი დოკუმენტები

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისათვის გეგმაში გათვალისწინებულია კანონმდებლობის გენდერული ანალიზის ჩატარება და მის საფუძველზე გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება. საკანონმდებლო აქტივობებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმაში“.[10] აღსანიშნავია, რომ გასული 2014 წლის განმავლობაში სხვა და სხვა სახელმწიფო უწყებების მიერ განხორციელდა არაერთი საკანონმდებლო ინიციატივა. 2013 წლისათვის არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ, კონკრეტულად „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ ინიციატივით და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მხარდაჭერით, საქართველოს 49 მუნიციპალიტეტში დაინიშნენ გენდერულ საკითხთა მრჩეველები. აღნიშნულ პოზიციებზე სამინისტროსა და „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ მიერ ერთობლივად შემუშავდა თანამდებობრივი ინსტრუქციები, თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს პოზიცია კანონით არ არის დარეგულირებული და მხოლოდ რეკომენდაციები უდევს საფუძვლად, ამიტომ გენდერულ საკითხთა მრჩევლის პოზიციაზე მნიშვნელოვანია, როგორც მუდმივმოქმედი და სავალდებულო ინსტიტუციური მექანიზმის დანერგვისა და ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის საკანონმდებლო მხარდაჭერა. საყურადღებოა, რომ დაწყებულია ამ საკითხის მიმართ სარეკომენდაციო პაკეტთა შემუშავება, რომელიც გულისხმობს „საქართველოს კანონში გენდერული თანასწორობის შესახებ[11]ცვლილებების ასახვას. აღნიშნულ პროექტში აქტიურადაა ჩართული საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროც.

---

[10]https://mod.gov.ge/uploads/archive/doc/gebderulistrategiisdokumenti.pdf- საქართველოს პარლამენტის დადგენილება - „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის“ დამტკიცების შესახებ (ნანახია: 13.04.2019)

[11]https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624?publication=8- „საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ“ (ნანახია 15.04.2019)

2014 წლის 7 ოქტომბრისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა გამოსცა ბრძანება „ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის განხორციელებული წესის დამტკიცების თაობაზე“[12],აღნიშნული ბრძანების მიზანი კი გახლავთ - ქალთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხო დედობის უზრუნველყოფა; უსაფრთხო აბორტის ხელშემწყობი სტრატეგიების შემუშავება; ოჯახის დაგეგმვისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებების დაცვა; არჩევანის უფლებების დაცვა და ა.შ.

აღსანიშნავია საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც ეხება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ ინიცირებულ პატიმრობის ახალ კოდექსს[13], რომელიც ძალაში 2014 წლის 10 მაისს შევიდა და მოიცავს პატიმარი ქალების მიერ გრძელვადინიპაემნის სარგებლობის უფლებას, ვინაიდან გარკვეული პერიოდის განმავლობაში მათ არ შეეძლოთ გრძელვადიანი პაემნებით სარგებლობა დღეისათვის შესაძლებელია ითქვას, რომ ამ კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა.

ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წლის 15 იანვრის N78 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი, რომელიც ეხება - ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებაში კვების ორგანიზაციის სანიტარული წესებსა და ნორმებს.[14] აღნიშნული რეგლამენტი ადგენს ზოგად მოთხოვნებს, განურჩევლად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა და ტიპისა.

2015 წლისათვის საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით განხორციელდა ბიუჯეტის გენდრული ანალიზი, სადაც ერთერთ მნიშვნელოვან საკითხად წარმოდგენილი გახლდათ გენდერული ბიუჯეტის საკითხი, რაც ასევე ხაზს უსვამდა ქვეყანაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისათვის სწრაფვას.

---

[12]https://matsne.gov.ge/ka/document/view/2514236?publication=0- ბრძანება „ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის განხორციელებული წესისი დამტკიცების თაობაზე“(ნანახია 15.04.2019)

[13]http://parliament.ge/uploads/other/117/117089.pdf– “სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ ინიცირებულ პატიმრობის ახალ კოდექსის“ ძალაში შესვლის შესახებ (ნანახია 16.04.2019)

[14]https://matsne.gov.ge/ka/document/view/2196696?publication=0- 2014 წლის 15 იანვრის N78 დადგენილებითდამტკიცდა „ტექნიკურირეგლამენტი - ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებაში კვების ორგანიზაციის სანიტარული წესებსა და ნორმების დამტკიცების შესახებ“ (ნანახია: 16.04.2019)

საქართველოს მთავრობა ასევე განათლების სფეროში ახალგაზრდების წარმატების მიღწევის უზრუნველყოფისათვის აქტიურად არის ჩართული შესაბამისი განათლების პირობების შექმნაში, სადაც ხაზს უსვამს ორივე სქესის უფლებების დაცვის აუცილებლობას - „განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა.....“ და ა.შ, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკა ითვალისწინებს გენდერული თანასწორობის პრინციპებს.

2014 წელს საქართველოს მთავრობის დადგენილებით შეიქმნა ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭო[15], რომლის ძირითადი ამოცანებია მთავრობის მიერ დამტკიცებული ადამიანთა უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესრულების განხორციელების მონიტორინგი.

გენდერული თანასწორობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, რასაც სერიოზული მხარდაჭერა ჭირდება სახელმწიფოს მხრიდან,ამ მიზნით კი გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ დოკუმენტებში აღნიშნულ საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

2014 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ერთად დაიწყო სახელმწიფო პროგრამის - ,,აწარმოე საქართველოში“ - განხორციელება, რომელიც მოიცავს საქართველოში მეწარმოებისხელშწეყობას; ადგილობრივი წარმოების განვითარების ხელშწყობას ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში; ახალი საწარმოების ამუშავებას; სამუშაო ადგილების შექმნასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პროგრამა უშუალოდ გენდერული პრობლემების მოგვერებას არ ემსახურება, იგი მაინც ქმნის ქალებისთვის ახალ შესაძლებლობებსა და ყურადღება ექცევა იმას, თუ რამდენად არის გათვალისწინებული ქალთა მონაწილეობა საწარმოო საქმიანობაში.ყურადსარებია ის გარემოებაც, რომ სასოფლო სამეურნეო

[15]https://www.matsne.gov.ge/ka/document/search?page=1221- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივლისის N445 დადგენილება (ნანახია: 16.04.2019)

კოოპერატივების სააგენტო გეგმავს სპეციალური ღონისძიებების გატარებას, რომელთა შორისაცაა ქალთა გადამზადების წახალისებაც, რაც თავად ქალების მიერაა შექმნილი.

ყოველივე გეგმისა და მიზნის მისაღწევად აუცილებელია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, რაც გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტია, ის თუ რა იცის საზოგადოებამ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვან როლს თამაშობს შემდგომ მათი განხორციელების ეტაპებზე, ამიტომ საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ 2014 წელს განხორციელდა შემდეგი სახის აქტივობები: გადაცემები მიეძღვნა ქალთა მიმართ ძალადობას, გაიმართა დისკუსიები და ა. შ. ყოველივე გეგმა ძირითადად მოიცავდა ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრისა და გენდერული თანასწორობისათვის სწრაფვას. ასევე 2014 წელს სტატისტიკის ეროვნული სამსახური მიერ განახლდა მონაცემთა ბაზები გენდერული სტატისტიკის შესახებ და ცესკომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისთვის პირველად მოამზადა ამომრჩეველთა გენდერული სტატისტიკა და განათავსა ოფიციალურ ვებ-გვერდზე.[16]

აღსანიშნავია, რომ უწყებები, რომელებიც ჩართულნი არიან საქართველოში გენდერული პოლიტიკის განხორციელების გეგმაში, აწარმოებენ თანამშრომელთა გენდერულ სტატისტიკას, რაც მოიცავს განხორციელებული ღონისძიებების მსვლელობისას მონაწილე ქალებისა და კაცების რაოდენობას.

2.2. გენდერული პერსპექტივების ჩართვა საჩივრების მექანიზმებში

ძირითადად გენდერული პრობლემების გაგებას, მასთან დაკავშირებული საჩივრების აღმოჩენა უდევს საფუძვლად, ეს საჩივრები კი შემდეგი შინაარსითაა დატვირთული: საჩივრები მოიცავს სექსუალური ნიშნითა და ჰომოფობიის საფუძველზე დისკრიმინაციის, შევიწროვების, დაშინებისა და ძალადობის ფაქტებს. ყოველივე კი ყურადღებას იპყრობს ისეთ ღრმა საკითხებზე, როგორიცაა სამხედრო

[16] http://cesko.ge/res/old/other/29/29271.pdf

ეთოსი და კულტურა. თუ ვიმსჯელებთ ისტორიულ მხარეებზე, ვიცით, რომ შეიარაღებული ძალები განსაკუთრებით აფასებდნენ აგრესიულობის თვისებას, რომელიც უფრო კაცებთანაა ასოცირებული, ვიდრე ქალებთან. უმეტეს შემთხვევაში, ვხედავთ, რომ რთულია უმაღლესი წოდების მიღება, თუ ადამიანს საბრძოლო ქვედანაყოფში არ უმსახურია, აქედან გამომდინარე, იმ კაცებსა და ქალებს, რომელსაც აღნიშნულ ქვედანაყოფში არ უმსახურიათ არ აქვთ დაწინაურების უფლება.

1970-იანი წლებიდან მეცნიერები გენდერულ ანალიზს იყენებდნენ განვითარებისა და საჯარო პოლიტიკის სფეროში მუშაობისას, როდესაც ისინი კაცებისა და ქალების მიერ შესრულებულ სხვა და სხვა ტიპის სამუშაოს, კაცებისა და ქალებისათვის საჯარო ინსტიტუციებსა და გადაწყვეტილებების მიღების განსხვავებულ მისაწვდომობას შეისწავლიდნენ. ხოლო 90-იან წლებში კი ქალთა უფლებების დამცველები საერთაშორისო ასპარეზზე წარმატებით გაამახვილეს ყურადღებას ქალებზე შეიარაღებული კონფლიქტის განსაკუთრებულ ზემოქმედებაზე, რომლის მწვერვალადაც2000 წელს „ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ“[17] გაეროს უშიშროების საბჭოს N1325 რეზოლუციის მიღება იქცა. არსებული რეზოლუცია მოითხოვს, რომ სხვა საკითხებთან ერთად გაეროს სამშვიდობო მისიებმა მეტი ყურადღება მიაქციონ ქალებისა და გოგონების განსაკუთრებულ საჭიროებებს, ქალებმა სრული და თანასწორი მონაწილეობა მიიღონ სამშვიდობო მისიებში. საკუთარი სამხედრო მოსამსახურეების მიმართ გენდერული პერსპექტივების გამოყენება ხელს უწყობს შეიარაღებულ ძალებში ისეთ შეხედულებების გამოვლენას, რომელთა მიხედვითაც კაცად ან ქალად ყოფნა, ზეგავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ ეპყრობიან მდედრობითი და მამრობითი სქესის მოსამსახურეები ერთმანეთს და როგორ ეპყრობიან მათ ზოგადად სამხედრო სისტემაში. აღნიშნულმა საბჭომ ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე მიიღო ასევე სხვა რეგულაციებიც. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციით ასევე ბევრმა სახელმწიფომ იხელმძღვანელა და ხელი შეუწყო მათ განხორციელებას ეროვნულ დონეზე, როგორც შეიარაღებულ ძალებში, ისე საერთაშორისო საქმიანობაში.

[17]http://georgia.unwomen.org - რეზოლუცია N1325 (2000)

გენდერული პერსპექტივების გათვალისწინება მოიცავს ქალებსა და კაცებს შორის გენდერულ საფუძველზე არსებულ იმ განსხვავების შეფასებას, რომლებიც მათ სოციალურ როლებსა და ურთიერთქმედებაში, ძალაუფლების გადანაწილებასა და რესურსების ხელმისაწვდომობაში აისახება, იგი მიზნად ისახავს კაცებისა და ქალების კონკრეტულ სიტუაციებსა და საჭიროებებს, ასევე იმ განსხვავებული შედეგების გათვალისწინებას, რომელიც ქმედებებზე ადაპტირების გზით გენდერული თანასწორობის რეგულაციებისათვის ხდება.

მნიშვნელოვანია, რომ გენდერული პერსპექტივების გათვალისწინება გავიგოთ ანალიტიკურ მიდგომად, რომელიც მიზნად ისახავს სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციისა და გენდერული უთანასწორობის იდენტიფიცირებას, თანასწორ უფლებებსა და შესაძლებლობებს კაცებსა და ქალებს შორის, რომელ თანასწორობაშიც არაა ნაგულისხმევი ის, რომ ქალები და კაცები ერთნაირები უნდა გახდნენ და რომელიც ნიშნავს, რომ ქალისა და კაცის უფლებები, პასუხისმგებლობები და შესაძლებლობები არ იქნება დამოკიდებული იმაზე, პიროვნება კაცად დაიბადა თუ ქალად.არსანიშნავია რომ ბევრ ქვეყანაში მამარობით და მდედრობით მოსამსახურეებს შორის თანასწორობის უზრუნველსაყოფად ინსტიტუციური ნორმები და წესები არსებობს, რომელთა თანასწორობის მიღებაშიც სპეციალური ორგანოები მოქმედებენ.

„გენდერული თანასწორობისა“ და „სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციის“ ცნებები, საერთაშორისო ეროვნულ სამართალში ყოვლისმომცველი სახითაა ჩამოყალიბებული, რომლის მოქმედებებიც ექვემდებარება შემოწმებას. თანასწორობა კაცებსა და ქალებს შორის მოითხოვს არა მარტო ფორმალურ თანასწორობას, არამედ არსებით თანასწორობასაც, რომელიც მათთვის უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს, რათა მიღწეულ იქნას შედეგთა თანასწორობაც.

კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ სახელმწიფოებისა და შეიარაღებული ძალებისაგან, როგორც სახელმწიფო ნაწილისგან, მოითხოვს, მიღებულ იქნას საჭირო ზომები ქალთა ყოველგვარი განვითარებისა და პროგრესისათვის. ასევე კონვენცია არეგულირებს ქალთა და მამაკაცთა უფლებების თანასწორობას, სადაც იდენტური მოპყრობების გარანტია არაა საკმარისი და ასევე

მხედველყოფს ვითარებას, ბიოლოგიური, სოციალური და კულტურული შესაძლებლობებით განპირობებულ განსხვავებათა არაიდენტურ მოპყრობის საჭიროებისათვის. ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოები ვალდებულნი არიან შექმნან პირობები, რომლებიც აუცილებელია ქალთა პიროვნული განვითარებისათვის, რათა მათ ქონდეთ არჩევანის გაკეთების უფლება, რომელიც შეზღუდული აქვთ სტერეოტიპებისა და მიკერძოვებული შეხედულობების გამო.

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოებს ასევე მოუწოდებენ თანასწორობის ხელშემწყობი ქმედებების გამოყენებისაკენ, რადგან ესაა ერთ-ერთი საშუალება, რომელიც ხელს უწყობს კაცებსა და ქალებს შორის თანასწორობის რეალიზებას. ასევე მათ შორის თანასწორობა მოიცავს, პოზიტიურ ვალდებულებებს - აღმოიფხვრას გენდერული უთანასწორობის ძირითადი მიზეზები, რომელთა შორისაცაა დისკრიმინაციული ნორმები, მიკერძვებული შეხედულებები და სტერეოტიპები.

მნიშვნელოვანია გენდერული ნეიტრალური ენის რეკომენდაცია, როცა საქმე ეხება პოლიტიკის შემუშავებას, ქმედებების წინააღმდეგ, რაც სტრუქტურული ბარიერების შენიღბვას უწყობს ხელს და ქმნიან რეალურ უთანასწორობას. ოპერაციული ეფექტიანობა სწორედ ამ ბარიერების გამოვლენასა და აღმოფხვრას ემსახურება. ასე რომ დისკრიმინაციის აღმოფხვრისათვის საჭიროა მუდმივი ანალიზი, თუ რა ზემოქმედებას ახდენს სხვა და სხვა პოლიტიკა და პრაქტიკა კაცებისა და ქალების თანასწორუფლებიანობის მისაღწევად.

ცნობილია, რომ შეიარაღებული ძალების უმეტესობა ცდილობდა, ისეთი ფიზიკური ნორმატივები მიეღო კაცებისა და ქალებისათვის, რომელიც სამართლიანი იქნებოდა. გამომდინარე იქიდან, რომ გენდერული თანასწორობა არ ნიშნავს სტანდარტების შემცირებას, საჭირო გახლდათ, რომ ყველა სამხედროს შეძლებოდა ფართო სპექტრის ზოგადი სამხედრო ამოცანებისა და მოვალეობების ნებისმიერ დროს შესრულება. ამ მსჯელობის თანახმად და მართებულად საჭირო გახდა შემდეგ კითხვებზე რეაგირება - რამდენად საჭიროა ის უნარები და შესაძლებლობები, რომელიც ფასდება , იმ პოზიციისთვის, რომლისთვისაც ეს შეფასება ტარდება, ან თუ საჭიროა

ხომარ არსებობს გზა, რომელიც არაპროპორციულად არ ჩააგდებს ქალებს უარეს მდგომარეობაში, კაცებისგან განსხვავებით. ყოველივეს თანახმად, ზოგმა სამხედრო ნაერთმა, შეიმუშავა განსხვავებული გეგმა ქალთა მიმართ, რომელთაც უჭირდათ ფიზიკური ტესტის გავლა, გეგმა კი მოიცავდა მათი წვრთნების რამდენიმე კვირით ადრე დაწყებას, მიუხედავად გენდერული თანასწორობის დამყარების ხელშეწყობის პროცესებისა, ჩანს რომ აღნიშნული ტესტი მოიცავს გათვლილ შესაძლებლობებს, რაც ძირითადად მამაკაცთა ფიზიკურ შესაძლებლობებზეა დაფუძვნებული.

მნიშვნელოვანია, როგორ მოქმედებს საჩივრების სისტემა გენდერულ საკითხებზე, თუ ამ სისტემის მოქმედება ეფექტიანია, ქალებისა და კაცების მიერ წარდგენილი საჩივრებიდან ზოგიერთი აშკარად მათ გენდერულ როლებს ეხება, გარდა ამისა შესაძლებელია ერთი შეხედვით არც კი ჩანდეს, რომ საჩივარი გენდერთანაა დაკავშირებული, მაგრამ გამოძიების დადგენით ნათელი გახდეს მოქცევის შინაარსი, რომელიც უთანასწორობით მიკერძოვებულ სქესს გამოავლენს. გენდერული საფუძვლების შედეგად ჩადენილი დანაშაულების მსხვერპლი, ან ჩამდენი შესაძლოა იყოს კაციც და ქალიც, განვიხილოდრამოდენიმე საჩივრის მაგალითი, რომელიც ეხება გენდერულ საკითხებს, ესენია: 1. პირდაპირ თუ არაპირდაპირ სქესობრივი დისკრიმინაცია, ადამიანის მიმართ უსამართლო მოპყრობა, მისი გამორჩევა, გარიყვა , ან შეზღუდვა სქესისა და გენდერის ნიადაგზე. 2. დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე, უსამართლო მოპყრობა ან გამორჩევა ადამიანის რელიგიური თუ აღქმული არაჰეტეროსექსუალური ორიენტაციის გამო, ან იმის საფუძველზე, თუ როგორ ახდენს ადამიანი საკუთარი გენდერის იდენტიფიცირებას. 3. სექსუალური შევიწროვება, ნებისმიერი არასასურველი სექსუალური ხასიათის ძალმომრეობით ქმედება, რომელიც სხვა ადამიანისათვის შეიძლება წარმოადგენდეს შეურაცყოფასა და დამცირებას. 4. სექსუალრი ძალადობა,გაუპატიურება და რომელიც კონტექსტში მოიხსენიება, როგორც „სექსუალურიხასიათის ძალმომრეობით ქმედებად“, იგი წარმოადგენს დანაშაულს და სახელმწიფო სისხლის სამართალშიც[18] სწორედ დანაშაულად არის განსაზღვრული.5.

[18]https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=207-საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი - (მუხლი137 – 141) (ნანახია: 25.04.2019)

სექსუალური ექსპლოატაცია, სექსუალური მიზნებისთვის, მათ შორის ფულადი, სოციალური ან პოლიტიკური მოგებისთვის უთანასწორო ძალითა და ნდობით სარგებლობის ნებისმიერ რეალურ შემთხვევა თუ მცდელობა. 6. გენდერული ნიშნით აბუჩად აგდება, დაშინება ან დევნა, სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაცია, მისი ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობების, ეთნიკური წარმომავლობის, სექსუალური ორიენტაციისა და ა.შ. გამო.

აღსანიშნავია, რომ საჩივრების შეტანის მცდელობა ძირითადად წარმოდგენილია ქალთა მხრიდან, კაცები კი თავს იკავებენ საჩივრების წარდგენისაგან, მაგალითად საზოგადოებაში ძალიან მცირე ინფორმაცია არსებობს იმის შესახებ, რომ კაცები შეიძლება სექსუალური შევიწროვებისა და ძალადობის მსხვერპლი გახდნენ, რაც კვლავ მიუთითებს იმას, თუ რაოდენ მწირედ არ არიან ჩართულნი მამაკაცები საჩივრების წარდგენის პროცესში, ეს კი დანაშაულის ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს, რაც კვლავ გენდერულად არჩევს პიროვნებათა ქმედებების შესაფერისობას.

2.3. გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის,შევიწროვების, დაშინებისა და ძალადობის პრევენცია, განათლება და ტრეინინგი

გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის, შევიწროვების, დაშინებისა და ძალადობის პრევენცია საქართველოსთვის უმაღლეს პრიორიტეტს წარმოადგენს, ვინაიდან დანაშაულის პრევენცია საუკეთესო გამოსავალია პოტენციური მსხვერპლისათვის. აღნიშნული გენდერული ნიშნების პრევენცია მოითხოვს არსებულ კულტურათა ტრანსპორმირებას, რის სათავეშიც საჭიროა იდგნენ პირები, რომელთაც აკისრიათ გარკვეული სტრუქტურების ხელმძღვანელობა. მნიშვნელოვანია, იმ ნორმებისა და მიდგომების გამოყენება, რომელიც ხელშემწყობ ვითარებამდე მიიყვანს გარკვეული პრობლემების მოგვარების მცდელობებს. ყოველივე ჩამოთვლილი ნიშნის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშემწყობად უნდა მოხდეს როგორც პოლიტიკისა და ქცევის, ასევე კანონებისა და დირექტივების გამოყენება, ვინაიდან ძალადობის პრევენციისა და მათზე რეაგირების საფუძველს სწორედ ნაგულისხმევი კანონები, დირექტივები და

პოლიტიკა აყალიბებენ. კანონებმა უნდა უზრუნველყონ ქალთა მიმართ, როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი დისკრიმინაციის არარსებობა, ქალებისა და კაცების დაცვა დაშნებისგან, დისკრიმინაციისგან, შევიწროვებასა და ძალადობისგან, ასევე მათ უნდა შექმნან საჩივრების შეტანისა და მათი განხილვის ქმედითი მექანიზმებისა და დამოუკიდებელი კონტროლის შესაძლებლობა.

ყველა კანონის, დოქტრინის, პოლიტიკისა და დირექტივის პროცესსა და პრაქტიკის პირველი ნაბიჯი სისტემატიური განხილვის ჩატარებაა, რათა უზრუნველყოფილი იქნას მათი არადისკრიმინაციული ხასიათი, რათა მოხდეს კაცი და ქალი მოსამსახურეების საჭიროებების გათვალისწინება. ყოველივე მიზნის მისაღწევად, რა საკვირველია საჭიროა ისეთი სტრუქტურული მიდგომა, როგორიცაა გენდერული თვითშეფასება და გენდერული აუდიტი. მნიშვნელოვანია აღმოფხვრილ იქნას რიგი ნაკლოვანებები და ჩამოყალიბდეს განხორციელებული ზომების მონიტორინგი.

ვინაიდან ადამიანური რესურსების პოლიტიკა მოიცავს გენდერული ბალანსის გაუმჯობესებასა და უსაფრთხო, პატივისცემაზე დამყარებულ გარემოს შექმნას, მნიშვნელოვანია პოლიტიკისა და დირექტივების მხრიდან ისეთი გაზომვადი სტრატეგიებისა და შეფასებების საშუალებების დაწესება, როგორი საშუალებებიც ხელსშეუწყობს თანასწორი შესაძლებლობების მიღწევების პროგრესს. გენდერული ნიშნით შევიწროვება, დაშინება, სექსუალური ექსპლუატაცია და ძალადობა მკაცრ და მკაფიო პოლიტიკური ჩარჩოს არსებობას მოითხოვს. აღსანიშნავია ამ კუთხით თანამშრომელთა მიდგომები, რომლებიც გენდერული თანასწორობის საკითხებს კურირებენ, მათი რჩევები და დახმარების გაწევა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს საჩივრების წარმოქმნის პროცესში და დანაშაულთა პრევენციაში, ხოლო ამ პროცესში ჩართული თანამშრომლები მნიშვნელოვანია იყვნენ კაცებიც და ქალებიც, არა მხოლოდ იმიტომ, რომ მათ შეძლონ საკუთარი სქესის წარმომადგენლებთან ღია საუბრები, არამედ იმის დემონსტრირებისთვისაც, რომ გენდერული თანასწორობა მხოლოდ „ქალების საქმეს“ არ წარმოადგენს. საქართველოს მაგალითზე, აღსანიშნავია , რომ შეიარაღებულ ძალებში და მის თითოულ ქვედანაყოფში არსებობს ერთი კაცი და ერთი ქალი მრჩეველი. ისინი ხელს უწყობენ „თავდაცვის გენდერული სტრატეგიების“ განხორციელებას.გენდერული თანასწორობის დამყარების მიზნით, ყოველივე

სტრუქტურაში მისასალმებელია ორივე სქესთა არსებობა და მათთვის თანაბარი მოვალეობებისა და შესაძლებლობების გადანაწილება, მაგალითად არსებობს მოსაზრებები, იმის შესახებ, რომ ქალებისა და კაცების მნიშვნელოვანი უმცირესობა თავს უფრო კომფორტულად გრძნობს, თუ სექსუალური შევიწროვების შემთხვევას საკუთარი სქესის წარმომადგენელს უამბობს.

ყურადსაღებია, რომ საერთაშორისო ნორმები გვკარნახობს, დასაქმებულ პერსონალთა დატრენინგების აუცილებლობას, რათა მათ ქონდეთ განათლება და ინფორმაცია ადამიანის უფლებების, გენდერისა და მრავალფეროვნების საკითხებზე, იმისათვის რომ ჩამოყალიბდეს ცოდნა და უნარები დანაშაულის პრევენციისათვის, საჭიროა სხვა და სხვა სასწავლო ინიციატივებისა და ტრენინგების განხორციელება. აღსანიშნავია, რომ გენდერული საკითხები არ უნდა იყოს განხილული განყენებულად, იგი უნდა მოიცავდეს ყველანაირ ტრენინგსა და განათლებას. საჭიროება მოითხოვს მოსამსახურეების მხრიდან ისეთ საკითხებზე დატრენინგებას, როგორიცაა: თანასწორობა, ქცევისა და მრავალფეროვნების სტანდარტები, პასუხისმგებლობა, სექსუალური შევიწროვებისა და სექსუალური ძალადობის შემთხვევათა დანაშაულებრივობის განცდა და დანაშაულის ფაქტზე თვითმხილველად ჩარევის სწავლება, საჩივრებისა და შემთხვევათა შეტყობინება, ასევე ამ საჩივრის წარმდგენი კოლეგის მიმართ შურისძიების პრევენცია და ა.შ. , რაც შეეხება თანამშრომელ ხელმძღვანელ პირებს , მათ განსაკუთრებული ცოდნა და მოვალეობები აკისრიათ არსებულ პოზიციებზე, ასევე მნიშვნელოვანია მათი დატრენინგება დეტალურად და დამატებითი საკითხების გავლით, როგორ საკითხებსაც მოიცავს - თანასწორობის ცოდნა, რათა გააცნობიერონ ქალისა და კაცის შესაძლებლობები და აღმოფხვრან მათ შორის სტერეოტიპულად ჩამდგარი ბარიერები, იცოდნენ კანონმდებლობა, რომელიც ეხება სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციას, შევიწროვებას, ძალადობასა და დაშნებას, შექმნან ისეთი სამსახურეობრივი გარემო, სადაც ადგილი არ ექნება დისკრიმინაციას, აწარმოონ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მონიტორინგი და შეაგროვონ გამოაშკარავებულ ფაქტებზე ოპერატიული მონაცემები. მნიშვნელოვანია მოსამსახურეთა მიმღებმა თანამშრომლებმა და იმ პირებმა, რომლებიც უშუალოდ

დაწინაურების საკითხზე მუშაობენ, გაიარონ ტრეინინგი დასაქმებაში თანასწორობასა და გაუცნობიერებელი წინასწარი აზრის შექმნის შესახებ

საჭიროა, რომ განათლებისა და დატრენინგების პროგრამა ეფექტიანობის თვალსაზრისით ეფუძვნებოდეს ფაქტებს, იყოს კარგად დაგეგმილი და სწავლების პრინციპზე აგებული. გენდერისა და მრავალფეროვნების საკითხებზე ტრეინინგის ჩატარებისას საჭიროა ყურადღება მიექცეს ინტერაქტიულ ფორმატებს, რაც მოიცავს ლექციების მინიმუმამდე დაყვანას, დისკუსიებს, სავარჯიშოებსა და როლურ თამაშებს, ასევე რეალურ ცხოვრებაზე დაფუძვნებულ სცენარების მიმოხილვას, ტრეინინგების ჩატარებას კოლეგების მიერ და ა.შ. არსებულ ტრეინინგებსა და განათლებას საჭიროა განსაზღვრული ქონდეს სტანდარტები, შემდგომ კი კომპეტენციის ფარგლებში მათზე გაწეულ იქნას მონიტორინგი.

2.4. გენდერული ნიშნით დანაშაულებრივი ქცევის შესახებ შეტყობინების წახალისება და საჩივრების წარდგენის მექანიზმები

გენდერული ნიშნით დანაშაულებრივი ქცევების რიგ შემთხვევებში არ ხდება საჩივრებისა და შეტყობინებების წარდგენა, შესაბამისად ვერ ხერხდება სათანადო რეაგირებები იმ რაოდენობით, რა რაოდენობითაც აღნიშნული დანაშაულების ფაქტები არსებობს, ამ საკითხებთან დაკავშირებით, საჭირო და აუცილებელია ტრეინინგების ჩატარება, რეგულარული შეხვედრების ორგანიზება და დანაშაულებრივი ქცევის პრევენციების გზების ძიება, როდესაც დანაშაულებრივი საქციელი მცირე მასშტაბისაა, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მისი მოგვარების არაფორმალური მიდგომების გამოყენების წახალისებას, ხოლო საკითხები, რომელთა მიმართ არაოფიციალური მიდგომის გამოყენებაა შესაძლებელი, წარმოადგენს საკითხებს, რომელთა მოგვარებაც შესაძლებელია დისკუსიით, პრობლემის იდენტიფიცირებისა და გარკვევის გზით. აღსანიშნავია, რომ სანდო და მცოდნე მსმენელს შეუძლია მომჩივანის პრობლემების მეტად ეფექტიანად და სწრაფად მოგვარება, ვიდრე ის სასურველ შედეგს საჩივრის

შეტანის შემთხვევაში მიიღებს. ყოველივე ამან კი, შესაძლებელია რომ მომჩივანი იხსნას პრობლემების ზედმეტად გამწვავებისგან. თუმცა რიგ შემთხვევებში შესაძლებელია ფიქსირდებოდეს საჩივარი, აღნიშნულმა დისციპლინარულმა სახდელმა კი ვერ შეაჩეროს დამნაშავე, ამის ერთერთი მაგალითია, ქალაქ თბილისში მომხდარი მკვლელობის შემთხვევა, 2014 წლის ოქტომბერში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი ქმარმა ცივი იარაღით მოკლა,ადამიანები, რომელთაც უშუალოდ შეხება ჰქონდათ აღნიშნულ მსხვერპლთან, საუბრობდნენ, რომ დამნაშავის მხრიდან იგი არაერთ მუქარის წერილს იღებდა, რის შესახებაც ინფორმირებული ყავდა შესაბამისი სამსახურის თანამშრომლები, კერძოდ პოლიცია.

არსებობენ ადამიანები, რომლებიც არაოფიციალური გზებით ცდილობენ პრობლემების მოგვარებას, ასეთ ადამიანებს კი აუცილებელია ჰქონდეთ შესაბამისი ცოდნა იმის შესახებ, რომ მათ შეუძლიათ ოფიციალურად შეიტანონ საჩივარი და მათი პრობლემების აღმოფხვრა მოხდეს კანონის გზით. აღნიშნულ პრობლემათა გადასაჭრელად აუცილებელია სავარაუდო დანაშაულებრივ საქციელთა სერიოზულობა გახდეს ოფიციალური საჩივრის საგანი, გააზრებულ იქნას მომჩივნის სურვილები და მოლოდინები იმასთან დაკავშირებით, თუ რას მიაღწევს იგი საჩივრის წარდგენით, არის თუ არა აღნიშნული საჩივარი განმეორებითი და რა სანქციები დაწესდა დამნაშავის წინააღმდეგ ანალოგიური დანაშაულის ჩადენის მხილების შემდგომ დაა.შ.

მნიშვნელოვანია, რომ საჩივრების სისტემა უზრუნველყოფდეს საჩივრის წარდგენის არაერთ გზას და შესაძლებელს ხდიდეს არასათანადო ქცევის მსხვერპლის ან მოწმის მიერ საჩივრის რეალურ დროში სწორი ფორმით შეტანას. სასურველია დარეგულირდეს საჩივრების შეტანის შემდეგი ვარიანტები: 1. ჩივილის სხვა და სხვა გზა უნდა არსებობდეს, ეს იქნება ონლაინ, წერილობით, უფასო სატელეფონო ნომრითა თუ ელექტრონული ფოსტის გამოყენებით, ხოლო როდესაც არაა ინტერნეტი და ტელეფონი ხელმისაწვდომი, არსებობდეს საჩივრების მისაღებად სპეციალურად გამოყოფილი პირი; 2. დარეგულირდეს საჩივრების შეტანის ოფიციალური და არაოფიციალური გზები; 3. პირდაპირ მოხდეს სამოქალაქო პოლიციისთვის დანაშაულის შეტყობინება; 4. ასევე დანაშაული ეცნობოს დამოუკიდებელ მაკონტროლებელ ორგანოებს; 5. არსებობდნენ პირები, რომლებიც ნებისმიერ ადამიანს

გაუწევენ დახმარებას საჩივრების წარდგენის არსებული მექანიზმებისა და მათი გამოყენების შესახებ და ა.შ.

საჩივრების წარდგენის პროცესში მნიშვნელოვანია ცენტრალური ადგილი მსხვერპლთა გამოცდილებას დაეთმოს. დისკრიმინაციის, დაშინების ან ძალადობის მსხვერპლებს დახმარების სხვა და სხვა საჭიროება გააჩნიათ, ამიტომ მიზანშეწონილია არსებობდნენ თანამშრომლები, რომლებიც მომზადებულნი იქნებიან აღნიშნული შევისწროვების მსხვერპლთა კონსულტაციისა და დახმარების გასაწევად. ყურადსაღებია მომჩივნისა და მოწმეების წინააღმდეგ შურისძიების რისკის გათვალისწინება და ამ რისკთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება. არსებობს რიგი ფაქტები, როდესაც შურისძიებას დისციპლინური ხასიათი აქვს, მაგალითად, როდესაც ადამიანი ისჯება სრულიად მცირე დანაშაულისათვის - ეს შეიძლება იყოს ალკოჰოლის მიღება ან ქორწინების გარეშე ინტიმური კავშირი, რის შესახებაც ინფორმაცია მხოლოდ იმიტომ შეიძლება გავრცელდეს, რომ ამ ადამიანმა ძალადობის ან შეურაცყოფის ფაქტის გამო განაცხადოს. ასევე შურისძიებას ზოგჯერ პროფესიული ხასიათიც აქვს, იგი შეიძლება მოიცავდეს არაკვალიფიციურ ან სხვა სპეციალობით სამუშაოზე გადაყვანას, მუშაობის დაბალ შეფასებასა და დაწინაურებაზე უარის თქმას. ხშირია სოციალური ნიშნის მატარებელი შურისძიების ფაქტებიც, ეს შეიძლება იყოს დაშნება, კოლეგებისგან იზოლირება და შესაძლებელია იგი შევიწროვებასა და შეურაცყოფაშიცგადაიზრდოს. მნიშვნელოვანია, რომ დახმარების მომსახურება მსხვერპლთათვის ხელმისაწვდომი გახდეს წლების შემდგომაც.

დისკრიმინაციის, შევიწროვებისა და ძალადობის შემთხვევათა გამოძიებისას, საჭიროა მკაფიო სამართლიანობის, გამჭირვალობის, საფუძვლიანობისა და სწრაფი რეაგირების გარანტია, ასევე უნდა არსებობდეს მკვეთრი სტანდარტები საჩივრის კონფიდენციალურობისა და გამოძიების ვადებთან დაკავშირებით. შესაძლოა არსებობდეს მიზეზები, რომელთა გამოც სექსუალური ძალადობის მსხვერპლმა, შესაძლოა, დანაშაულის შესახებ შემთხვევიდან ხანგრძლივი დროის შემდგომ განაცხადოს, ამიტომ დიდი სიფრთხილით უნდა იყოს გამოყენებული ვადები, რომელთა მიხედვითაც მომჩივანი საჩივარს შემთხვევის შემდეგ განსაზღვრულ პერიოდში წარადგენს. ის ადამიანები კი, ვინც უშუალოდ სექსუალური ძალადობისა და

შეურაცყოფის შემთხვევების გამოძიებაზე მუშაობენ, საჭიროა დატრენინგებულიქნანდა შესაბამისი განათლება მიიღონ აღნიშნული კუთხით. მნიშვნელოვანია ყოველივე პროცესში ჩართულნი იყვნენ სამოქალაქო იურისტები, რომლებიც მსხვერპლთან და მათ უფლებების დამცველებთან ითანამშრომლებენ, რაც ხელისშემწყობი გახდება გამოძიების მიმართ თანაგრძნობაზე დამყარებული მოდგომებისჩამოყალიბებისა.უნდა არსებობდნენ როგორც კაცი, ასევე ქალი გამომძიებლები და მათ უნდა ჰქონდეთ სათანადო განათლება, რათა მათ უკეთ ესმოდეთ მსხვერპლის სავარაუდო რეაქციები.

დასკვნა

განხილული საკითხის კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში გენდერული ნიშნით ჩაგვრის, ძალადობის, დიკრიმინაციისა და შევიწროვების პრობლემები აქტუალურია, აღნიშნულ საკითხზე მომუშავე ადამიანთა მიერ გაკეთებული შეფასებებისა და სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე გამოვლენილია პრობლემები. საქართველოში, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოში გენდერული ნიშნით ჩაგვრის წინააღმდეგ რეფორმების შემუშავება უწყვეტად მიმდინარეობს და მთავრობა ხელს უყობს აღნიშნულ საკითხზე მომუშავე ადამიანთა ჯგუფებს ახალი რეფორმების და დადგენილებების განხორციელებაში.

საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“, გენდერული თანასწორობის საბჭოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის პროექტები, ქვეყნის მიერ შემუშავებული რეფორმები და გეგმები ადგენს ახალ რეგულაციებს გენდერული უთანასწორობის შემცირების გზების დანერგვასა და მონიტორინგზე.

გენდერული უთანასწორობისათვის ბრძოლის მთავარი მამოძრავებელი ძალის მისაღებად უშუალოდ ადამიანთა სწორი აზროვნების ჩამოყალიბების გზაა მართებული, სწორედ საქართველოში მცხოვრებ ადამიანთა ეფექტურ შეფასებებსა და შეხედულებებზეა დამოკიდებული ამ კუთხით ხარისხიანი მუშაობა და გენდერული პრობლემების აღმოფხვრის მიზნების განხორციელება. აღნიშნულიდან გამომდინარე პიროვნებათა ინფორმირება და სტერეოტიპებიდან გამოყვანა გენდერული თანასწორობისათვის მებრძოლ ადამიანთა მთავარ ინტერესს უნდა წარმოადგენდეს, ხოლო არსებულ საკითხზე მომუშავე პირების ცოდნისდონის გაძლიერება შემდგომში პრობლემის პრევენციის მაღალი მაჩვენებლის გარანტია იქნება.

საქართველოში ჯერ კიდევ მყარად დგას გენდერული უთანასწორობის პრობლემა, ამის ნათელი მაგალითი ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებია:

ადამიანთა არასწორი - სტერეოტიპებზე დამყარებული აზროვნება - აღნიშნული საკითხი რამდენიმე ასპექტში იყო გამოხატული, კერძოდ, კვლევის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი:

- საქართველოში მცხოვრები ადამიანების უმეტესობა, სტერეოტიპული აზროვნებით გამოირჩევა, რომლებიც ფიქრობენ რომ, ქალი და მამაკაცი არ არიან თანასწორნი და მამაკაცს აქვს გარკვეული პრივილეგიები - მეტი უფლებები;
- თვითშეფასების დაბალი დონე, კერძოდ მანდილოსნების მხრიდან, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მათ არ შეუძლიათ თვითგანვითარება ოჯახს გარეთ და მათი მოვალეობა მხოლოდ ოჯახური ცხოვრების გაძღოლით შემოიფარგლება;
- არსებული ნიშნით დაჩაგრული ადამიანების დუმილი - ადამიანები, რომლებიც ვერ საუბრობენ აღნიშნული პრობლემების შესახებ, სირცხვილის, დაშინების ან სამართლიანობის აღდგენის დაუჯერებლობის გამო და სხვა.

ტრეინინგების გავლის ვადებულება, საჩივრების წახალისება და მათი გავლენა გენდერული თანასწორობის სტაბილურობაზე - ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომადამიანები, რომლებიც აღნიშნულ საკითხზე მუშაობენ შედეგის მისაღებად საჭიროებენ გარკვეულ ცოდნასა და დატრენინგებას ამ უშუალოდ მიმდინარე მოქმედებებისათვის ცოდნის ასამაღლებლად, ხოლო იმისათვის რომ, გენდერული ნიშნით ჩაგვრის ობიექტებმა, დროულად და აუცილებლად შეიტანონ საჩივარი, საჭიროა ამ ნაბიჯის წახალისება.

- ტრეინინგების აუცილებლობა და საჭიროება უშუალო კავშირშიაგენდერული პრობლემების აღმოფხვრის გეგმებთან და რეფორმებთან, რადგან არსებული ცოდნის გაღრმავება და ახლის შეძენა აისახება მუშაობის ხარისხზე და ამ საკითხით დაინტერესებულ მომუშავე პირთა ეფექტურ საქმიანობაზე;

- საჩივრების წახალისება აუცილებელია, ვინაიდან აღნიშნული პრობლემის მსხვერპლთა მოტივაცია - დანაშაულის მხილებისათვის იყოს მაღალი და ყოველივე ადამიანს ქონდეს სურვილი როგორც საკუთარი შევისწროვებისა და ძალადობის მხილების, ასევე სხვისი მსხვერპლად აღიარების, დახმარების გაწევისათვის.

დანაშაულის შემცირება, გენდერული თანასწორობის სტაბილურობა - ჩატარებულ კვლევებში მონაწილეების უმეტესობა აღნიშნავდა, რომ გარკვეული პრევენციის გზები არ იძლევა დანაშაულის აღმოფხვრის შესაძლებლობას, ასევე:

- ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში თვალნათლადაა შესამჩნევი მათი მცდარი დამოკიდებულებები გენდერთან მიმართებაში;
- გენდერულუ თანასწორობასთან ბრძოლაში საჭიროა მაღალკვალიფიციური კადრების არსებობა, რომლებიც სწორი გზით და მიმართულებით მოქმედებენ და შეუძლიათ მოახდინონ ადამიანთა აზრთა ცვლილება გენდერის მნიშვნელობაზე,რაც თავისთავად გამოიწვევს უთანასწორობის შემცირებასა და გენდერული პრობლემების ნაკლებობას;
- საქართველოში მცხოვრებ მოსახლეობას უნდა გააჩნდეს გარკვეული ცოდნის ბაზა არსებულ საკითხთან დაკავშრებით და უნდა ითვალისწინებდნენ კანონით განსაზღვრულ მოვალეობებს, სხვა ადამიანთა მიმართ.

კანონმდებლობითი რეგულაციები - როგორც ჩატარებული კვლევებიდან, ასევე შესწავლილი საკითხიდან ნათლად ჩანს, რომ გენდერული უთანასწორობის პრობლემა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა და იგი საჭიროებს არსებული მიმართულებით გარკვეულ რეგულაციებს.

სახელმწიფოს მხრიდან საჭიროა შემუშავდეს მკაცრი მიდგომები და რეგულაციები გამოვლენილი პრობლემების აღმოსაფხვრელად. თუმცა აღსანიშნავია, რომ დღევანდელი მდგომარეობით საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“,იძლევა საშუალებას აამაღლოს ადამიანთა ცნობიერება, არსებული გენდერული პრობლემების წინააღმდეგ ბრძოლისსაკითხში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბასტიკი მ. - გენდერი და საჩივრების განხილვის მექანიზმები: სახელმძღვანელო შეიარაღებული ძალებისათვის და საჩივრების განმხილველი ინსტიტუტებისათვის (ჟენევა, DCAF 2015);
2. გორგაძე ნ. - გენდერული განათლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურზე (უნივერსიტეტის გამომცემლობა 2015);
3. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) „საქართველოს საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულთა სტატისტიკა გენდერულ ჭრილში“
4. კრისტოფ ზ. გილმოტო - გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა საქართველოში, კონტექსტი, მტკიცებულებები და შედეგები, თბ. 2015;
5. რეიერ-ბაკოვიჩი დ. - გენდერული ძალადობა საქართველოში, კავშირი კონფლიქტებს, ეკონომიკურ შესაძლებლობებსა და მომსახურებაში (2017 რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი/მსოფლიო ბანკი);
6. საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბისნესში , თბ. 2013 , UNDP GEORGIA 2013;
7. საქართველოს პარლამენტი - გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელება საქართველოში, „ საქართველოს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014-2016 წლის სამოქმედო გეგმა;
8. ჭიჭინაძე ნ. - გენდერული თანასწორობის საკითხები
9. http://georgia.unwomen.org - რეზოლუცია N1325 (2000) (ნანახია:01.04.2019)
10. https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624?publication=8- საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ; მუხლი 6 - გენდერული თანასწორობა შრომითი ურთიერთობებისას (გადამოწმებულია 01.04.2019);
11. https://matsne.gov.ge/ka/document/view/28312?publication=111- საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ - მუხლი 94-107; (ნანახია: 01.04.2019);
12. GE_UNDP_Gender_Research_GEO.pdf- დასაქმება და შემოსავლები (ნანახია: 01.04.2019);

13. GBVinGeorgiaReport_ge.pdf - გენდერული ძალადობა საქართველოში (ნანახია: 01.04.2019);
14. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339687?publication=1- ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ კონვენცია (ნანახია: 05.04.2019);
15. https://mod.gov.ge/uploads/archive/doc/gebderulistrategiisdokumenti.pdf- საქართველოს პარლამენტის დადგენილება - „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის“ დამტკიცების შესახებ (ნანახია: 13.04.2019);
16. https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624?publication=8- „საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ“ (ნანახია 15.04.2019);
17. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2514236?publication=0- ბრძანება „ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის განხორციელებული წესისი დამტკიცების თაობაზე“(ნანახია 15.04.2019);
18. http://parliament.ge/uploads/other/117/117089.pdf– "სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ ინიცირებულ პატიმრობის ახალ კოდექსის“ ძალაში შესვლის შესახებ (ნანახია 16.04.2019);
19. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2196696?publication=0- 2014 წლის 15 იანვრის N78 დადგენილებითდამტკიცდა „ტექნიკურირეგლამენტი - ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებაში კვების ორგანიზაციის სანიტარული წესებსა და ნორმების დამტკიცების შესახებ“ (ნანახია: 16.04.2019);
20. https://www.matsne.gov.ge/ka/document/search?page=1221-საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივლისის N445 დადგენილება (ნანახია: 16.04.2019);
21. http://cesko.ge/res/old/other/29/29271.pdf - ცესკოს მონაცემები;
22. https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=207-საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი - (მუხლი137 – 141) (ნანახია: 25.04.2019).